შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მოწმის სამართლებრივი სტატუსი სისხლისსამართალწარმოებაში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი **ნანო დარასელია**

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი **სერგო ჭელიძე**

თბილისი
2020

შინაარსი

ანოტაცია----------3

Annotation----------4

შესავალი----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------7

თავი II. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ცნება და სახეები----------8

2.1. მოწმის ცნება, როლი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში----------8

2.2. სისხლის სამართალწარმოებაში მოწმის მონაწილეობის პრინციპები----------12

2.3. მოწმეთა სახეები და კატეგორიები----------16

თავი III. მოწმის უფლება-მოვალეობები და იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში----18

3.1. მოწმის უფლებები----------18

3.2. მოწმის პასუხისმგებლობა და იმუნიტეტი---------- ----------22

თავი IV. მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიური ასპექტები----------28

4.1. მოწმის მიერ ფაქტებისა და გარემოებების აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა---------28

თავი V. მოწმის დაკითხვის პროცესუალური და კრიმინალისტიკური თავისებურებები-------31

5.1. მოწმის გამოკითხვა და დაკითხვა გამოძიების სტადიაზე----------31

5.2. მოწმის დაკითხვა სასამართლოში----------43

5.3. მოწმის ირიბი ჩვენება ----------48

5.4. მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების შემოწმება და შეფასება----------58

5.5. მოწმის დაკითხვის წესის ხარვეზები სისხლის სამართლის პროცესში----------60

თავი VI. კვლევის შედეგები ----------62

დასკვნა----------63

გამოყენებული ლიტერატურა----------64

ა ნ ო ტ ა ც ი ა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება მოწმის სამართლებრივ სტატუსს სისხლის სამართალწარმოებაში. მასში განხილულია მოწმის ცნება, სტატუსი და სახეები, როლი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში, მოწმის უფლებები და მოვალეობები, დაცვის გარანტიები, პასუხისმგებლობის თვისებურებები და იმუნიტეტი, მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიური ასპექტები, მისი დაკითხვის პროცესუალური და კრიმინალისტიკური თავისებურებები როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე სასამართლოში, მოცემულია მოწმის დაკითხვისას წამოჭრილი პრობლემების ანალიზი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებზე მოწმესა და მოწმის დაკითხვასთან მიმართებაში, გაცემულია რეკომენდაციები, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ასევე სრულად თუ არა, ზოგიერთი მაინც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შემდგომი სრულყოფისათვის.

Annotation

This presented master work dedicated to witness legal status in criminal law. In this work discussed the witness concept, status and faces, role and meaning and duties protection guarantees, peculiarifies of responsibility and immunity. Witness testimony Pschological aspects, his interrogations procedual and criminal features. So we have problems which arise at the pre-investigation stage.

In the work we have defects which appiared in inquest of witness according to criminal law. Also in it shown many problem questions which contradicts the fundamental principles of the criminal law, employees, competiteveness and immediacy. Attention is paid on the privileges of the prosecution. To put the defense in unequal conditions in the direction of prosecution. Which is an indication of the negative quality of justice.

In the work is paind attention on the defects which are between witness and witness interrogation. Recommendations are issued to eliminate deficiencies and for further refinement of the code of criminal Procedure.

შესავალი

თემის აქტუალობა. სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი მტკიცებულებებს უკავია. სწორედ აღნიშნული განაპირობებს სასამართლოში საქმის წარმართვის ბედს და იგი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ხდება. სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მტკიცებულებას მოწმის ჩვენება წარმოადგენს. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ მოწმის ჩვენებებს ეფუძნება.

აღნიშნული გულისხმობს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება პროცესში დასაშვები მტკიცებულება იყოს, მას უნდა ჰქონდეს უნარი, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს ფაქტები. ასევე მოწმეს უნდა შეეძლოს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროზე მითითება;

მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

მოწმის დაკითხვა უმთავრესი საგამოძიებო მოქმედებაა და მისი პრიორიტეტულობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რიგ ქვეყნებშია შესამჩნევი. ამის სადემონსტრაციოდ შეგვიძლია მოვიშველიოთ ცნობილი ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსის ჯერემი ბენტამის (1748-1832) გამოთქმა: „მოწმე - ეს არის მართლმსაჯულების ყური და თვალი. მოწმის ჩვენებას აქვს მაგიური ძალა, რომელსაც შეუძლია საქმის მთლიანი მსვლელობა შეცვალოს“. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანხმად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ მტკიცებულებათაგან კი წამყვანი ადგილი უკავია მოწმის ჩვენებას.

მოწმის უტყუარი და ჭეშმარიტი ჩვენება არის ის ერთ-ერთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიზნების ჯეროვნად რეალიზებას. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია მოწმეთა ჩვენებებზე, რადგან უმეტეს წილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს.

მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულებითი ინფორმაციის მატარებელი, იქმნება თვით გამოსაძიებელი საქმის გარემოებებით და შეუცვლელია სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან მისი ჩვენება ეხება უშუალოდ მის მიერ ნანახს ან მოსმენილს და რომლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც, როგორც წესი, მხოლოდ მას შეუძლია. სწორედ

ამიტომ მოწმეს და მის მიერ მიცემულ ჩვენებას სისხლის სამართლის პროცესში შეუნაცვლებადი ხასიათი გააჩნია. ამიტომ მოწმის სტატუსზე და მის დაკითხვაზე მსჯელობა მუდმივად ინარჩუნებდა და ინარჩუებს აქტუალობას;

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საქმეში მოწმის როლის, მნიშვნელობის გამოკვეთა, იმ პრობლემების წარმოჩენა, რაც ახლავს მოწმის დკითხვას როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

კვლევის ამოცანა. კვლევის ამოცანაა იმ პრობლემების, ხარვეზებისა და წინააღმდეგობების წარმოჩენა, რაც დაკავშირებულია მოწმის სტატუსთან, მისი როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამრთლო განხილვის სტადიაზე დაკითხვასთან დაკავშირებული პრობლემების და ამ კუთხით, ბრალდების მხარის პრივილეგიის წარმოჩენა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, შედარებით-სამართლებრივი და სხვა მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას კი წარმოადგენს მონოგრაფიები, ნორმატიული მასალა და სასამართლო პრაქტიკა.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 66 გვერდს.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას დამუშავებული და გამოყენებულია ნორმატიული მასალა - საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ქართველ მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა ნაშრომები და კვლევები. ასევე, გამოყენებული მაქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

თემაზე მუშაობაში და მის გააზრებაში დამეხმარა ბას დე ვილდეს და რიჩრდ ვოგლერის ნაშრომი „მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში“, ზ. მეიშვილისა და ო. ჯორბენაძის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“, თბ., 2007; საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ზოგადი და კერძო ნაწილები, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, თბ., 2017; ასევე დავამუშავე და გამოვიყენე: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი თბ., 2013 (ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით); შ. ფაფიაშვილის „კრიმინალისტიკა“ - ზოგადი ნაწილი, „კრიმინალისტიკა - დანაშაულის გახსნის ტაქტიკა“, თბ., 2013, გ. დეკანოზიშვილის სადისერტაციო ნაშრომი - დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, თბ., 2009, ასევე გამოყენებული მაქვს მოცემულ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები, კერძოდ: ირიბი ჩვენებები, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების მიერ 2016 წელს გამოცემული კრებული; ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, 2012 (საია); მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, 2017 (ადამიანის უფლებათა ცენტრი); სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარ-ჩვევებში, 2012, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატიავა,A(ABA POLI).

თავი II. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ცნება და სახეები

2.1. მოწმის ცნება, როლი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

სისხლის სამართლის პროცესში განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებს, რომლებიც არსებითად წყვეტენ სისხლის სამართლის საქმის ბედს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულება ეს არის – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას [1] . გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.[2]

სისხლის სამართლის საქმეზე მაქსიმალურად რეალური ცნობების მისაღებად ინფორმაცია პირველწყაროდან უნდა იქნეს მიღებული; აღნიშნულიდან გამომდინარე საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მოწმეს.[3] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.

სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მტკიცებულებას მოწმის ჩვენება წარმოადგენს. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ მოწმის ჩვენებებს ეფუძნება. მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობას აღნიშნავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის განმარტებითაც „ის [მოწმის ჩვენება] შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო.“

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-3-ე მუხლის 23-ე პუნქტი;
[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მე-13-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
[3]საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, მესამე გამოცემა, თბ., 2015, გვ. 169.

აქედან გამომდინარე, მოწმის ჩვენების მოპოვების კუთხით ისეთი წესის შემოღება, რაც მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებს პრივილეგიას, არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცის მხარეს და გავლენას ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე.[4]

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება ექცევა მოწმის სამართალსუბიექტობის საკითხს. მოწმის სამართალსუბიექტობის ცნებაში იგულისხმება მოწმედ გამოძახებულ პირთა ფსიქიკური ვარგისიანობა. სისხლის სამართლის პროცესში მხარეებს უფლება აქვთ მოწმედ მოიწვიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია სასამართლოში მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომელიც პირადად დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეიტყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მოწმის ვარგისიანობა დამოკიდებულია პირის უნარზე, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს, აღიდგინოს და გადმოსცეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს მოწმის უნარებთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ მას ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა „მოწმის ვარგისიანობას“ არ უკავშირებს პირის ასაკს, დასაშვებია მოწმედ სასამართლოში არასრულწლოვნების დაკითხვაც, მათი ასაკის მიუხედვად, თუ მათ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღიდგინონ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ასევე შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მოწმედ გამოძახება, რომელსაც აქვს უნარი, თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება.

პირისათვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია ფორმალურ წინაპირობაზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და მისთვის ფიცის ჩამორთმევაში. პირი მოწმის უფლება-მოვალეობებს იძენს მას შემდეგ, როდესაც მას მოსამართლე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს რელიგიურ ან არარელიგიურ ფიცს.

---

[4] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთ ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 206.

კლასიკური გაგებით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეები არ მოიაზრებიან მოწმეებად, თუმცა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ გამორიცხავს ბრალდებისა და დაცვის მხარის წარმომადგენლების მოწმის სახით დაკითხვას. გარდა ამისა, მოწმის სტატუსი შეიძლება მიენიჭოთ ასევე პროცესის ცალკეულ მონაწილეებსაც. სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს. (სსსკ, მუხლი 47). სასამართლოში ყველა მოწმე, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტი, პირობითად შეიძლება რამოდენიმე ჯგუფად, კატეგორიად დავყოთ: აღქმის მიხედვით - თვითმხილველი მოწმე და „სმენითი“ მოწმე, რომელიც სხვის მონაყოლს, გაგონილს, მოსმენილს გადმოგვცემს და შეუძლია მიუთითოს ინფორმაციის წყარო; ბრალდებასთან მიმართებაში - ბრალდების მოწმეები და დაცვის მოწმეები; დოკუმენტთა ავთენტიკურობის მიხედვით - მოწმე, რომელმაც მოიპოვა/შექმნა დოკუმენტი (გამომძიებელი, ექსპერტი) ან/და რომელთანაც ინახება დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე. პირები, ვისაც ენიჭებათ მოწმის უფლებები და ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა.

მოწმის უტყუარი და ჭეშმარიტი ჩვენება არის ის ერთ-ერთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიზნების ჯეროვნად რეალიზებას. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია მოწმეებზე და მათ ჩვენებებზე, რადგან უმეტესწილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს.

მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულებითი ინფორმაციის მატარებელი, იქმნება თვით გამოსაძიებელი საქმის გარემოებებით და შეუცვლელია სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან მისი ჩვენება ეხება უშუალოდ მის მიერ ნანახს ან მოსმენილს და რომლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც, როგორც წესი, მხოლოდ მას შეუძლია. სწორედ მოწმეს და მის მიერ მიცემულ ჩვენებას სისხლის სამართლის პროცესში შეუნაცვლებადი ხასიათი გააჩნია.

გამომძიებელი და პროკურორი მოწმედ მოიაზრებიან, მაგალითად, მაშინ, როდესაც ისინი ჩვენებას აძლევენ სასამართლოში მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა საპროცესო (საგამოძიებო) მოქმედებასთან დაკავშირებით და აღნიშნული ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილი და ამოღებული მტკიცებულების თაობაზე, რათა დადგინდეს მოპოვებული მტკიცებულების ავთენტურობა და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პროცესში მოწმის სტატუსით მონაწილეობა წარმოადგენს გამომძიებლისა და პროკურორის აცილების საფუძველს (სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტი), ვინაიდან, ეჭვქვეშ დგება მათ მიერ შემდგომად პროცესის ობიექტური და მიუკერძოებელი წარმოება.

თუ გამომძიებელი, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში უნდა წარდგეს მოწმედ, სავალდებულოა ასეთ შემთხვევაში პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე გადასცეს სხვა გამომძიებელს, ხოლო თუ პროკურორი მონაწილეობს იმავე საქმეში მოწმედ, ზემდგომმა პროკურორმა უნდა ჩამოაშოროს იგი სისხლის სამართლის საქ წაროებას და საქმე გადასცეს სხვა პროკურორს.[5]

ბრალდებული, განსხვავებით სხვა მოწმეებისგან, არ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება, ვინაიდან მას ბრალდებულის სტატუსი ათავისუფლებს სისხლის სამართალწარმოების ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობისგან. თუმცა, იგი არ არის შეზღუდული გამოვიდეს სასამართლოში მოწმედ. მას სხვა ნოწმეებისაგან განასხვავებს ისიც, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ცალკეულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

მოწმეს აღნიშნული უფლება არ გააჩნია და მან ყოველთვის უნდა დაასაბუთოს კითხვებზე პასუხის გაუცემლობის მიზეზი. ბრალდებულ-მოწმეს ცრუ ჩვენებისთვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. მას შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დეკისროს მხოლოდ ცრუ დასმენისთვის სსკ-ის 373-ე მუხლის შესაბამისად.[6]

დაზარალებული წარმოადგენს საკუთარი პროცესიალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეს, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამავდროულად ანიჭებს მოწმის ყველა უფლებას და აკისრებს მის ყველა მოვალეობას,[7] ვინაიდან, იგი უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს დანაშაულისა და დამნაშავის უშუალო თვითმხილველს. დაზარალებული ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება საქმისათვის მნიშვლოვანი გარემოების შესახებ.

ერთი მხრივ, დაზარალებულს გააჩნია ჩვენების მიცემის ვალდებულება, თუმცა, მეორე მხრივ, კანონმდებელი ანიჭებს მას უფლებას, სასამართლოში საქმის არსებითი

---

[5] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთ ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატიავა, გამომც. „მერიდიანი", თბ., 2015, გვ. 207;

[6] იხ. იქვე.

[7] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 56-ე მუხ. პირველი ნაწილი.

განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია.[8]

ექსპერტი შესაძლებელია სასამართლოში მხარეებმა გამოიძახონ მოწმედ და დაკითხონ მის მიერ ჩატარებულ საექსპერტო კვლევასა და შედგენილ დასკვნასთან დაკავშირებით. ასევე, დასაშვებია თარჯიმნის მოწმის სახით დაკითხვა მის მიერ შესრულებული სისხლის სამართლის საქმის მასალების თარგმანთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 47-ე მუხლში არაფერია ნათქვამი მოსამართლისა და ადვოკატისათვის მოწმის სტატუსის მინიჭების შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს მათი მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას.

2.2. სისხლის სამართალწარმოებაში მოწმის მონაწილეობის პრინციპები

სიტყვა „პრინციპი“ ლათინური სიტყვაა „principium“ და ნიშნავს „საფუძველს“, „საწყისს“, „დასაბამს“, რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითად ამოსავალ დებულებებს, სახელმძღვანელო იდეას.[9]

პრინციპები - ეს არის ის უმნიშვნელოვანესი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესის მთელ სისტემას, მისი სტადიების შინაარსა და ფორმას, მის ბუნებასა და დანიშნულებას. ისინი წარმართვენ პროცესის წინაშე დასმულ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

პრინციპების დაუცველობა ანუ მათი დარღვევის შემთხვევაში მთელი სასამართლო საქმიანობის შედეგები სამართალწარმოებისას უკანონოა, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და უკანონო საპროცესო აქტების გაუქმებას.

ეს პრინციპებია: კანონიერების, უფლებებისა და თვისუფლებების დაცვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ზიანის ანაზღურების, ნებაყოფლობითობის, მოწმის სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება და უშუალოდ დაკითხვა, ინდივიდუალურობის, დისპოზიციურობის, გაუთქმელობის, ეფექტურობის, მეცნიერულ-ტაქტიკური ხერხების გამოყენებისა და ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვის პრინციპები.

---

[8] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთ ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატიავა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 208;

[9] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1973, გვ. 332.

კანონიერების პრინციპი - თანამედროვე პირობებში სამართალწარმოების მთელ პროცესში კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვა წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს. კანონიერების ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პროცესის ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონის მოთხოვნები. კანონიერების განუხრელი და მტკიცე დაცვა გამორიცხავს მოსამართლეთ თვითნებობასა და უკანონობას, პროცესის მონაწილეთა - მხარეების უფლებების დარღვევას და შეზღუდვას.

გამოკითხვის/დაკითხვის კანონიერება გულისხმობს იმ პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას, რომლებიც არეგულირებენ ყველა სუბიექტის ჩვენების მიცემის წესსა და პირობებს, დასაკითხი პირის უფლებების დაცვას და უზრუნველყოფენ ჩვენების მიცემის სისრულეს, ყოველმხრივობასა და ობიექტურობას. მოწმის ჩვენებას ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.[10]

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპი. უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, კანონი გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს ავალდებულებს, რომ მოწმის ჩვენება გამოყენებული იქნება, როგორც მტკიცებულება, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისა და ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. მას აუწყებენ, რომ აქვს უფლება, არ მისცეს საკუთარი თავისა და ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენება.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების ნორმის მიზანია პროცესის მონაწილეთა დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არსათანადო იძულებისგან და მართლმსაჯულების შეცდომის თავიდან აცილება, ბრალდებულის თავისუფალი არჩევანის (მოწმის სტატუსით) უზრუნველყოფა - ილაპარაკოს თუ აირჩიოს დუმილი დაკითხვის დროს.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია სისხლის სამართლის პროცესში მოქმედ ფუნდამენტურ უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური გარანტიაა, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მსგავსად, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ძირითად ასპექტს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ზიანის ანაზღურების პრინციპი. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. გამოძიების პროცესში

მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს მოწმის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით. არ არსებობს „ადამიანის ღირსების“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება. პიროვნების ღირსება უკავშირდება ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი იდენტობის პატივისცემას.

ღირსება ადამიანის, როგორც გონიერი, თავისუფალი ნებისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის, დამახასიათებელი თვისებაა, ემყარება ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების აღიარებას და გააჩნია ყველა ადამიანს განურჩევლად.

ნებაყოფლობითობის პრინციპი. გამოკითხვის/დაკითხვის ნებაყოფლობითობის პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ არ შეიძლება დასაკითხი პირი ვაიძულოთ ჩვენების მიცემაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩვენების მიცემა წარმოადგენს მათ პროცესუალურ ვალდებულებას. ყველა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს დარწმუნების მეთოდი. გამომძიებელს, პროკურორს, ადვოკატს შეუძლია ნებისმიერი პირისაგან ნებაყოფლობით საფუძველზე ინფორმაციის მიღება ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაგრამ ამგვარი ნებაყოფლობითი გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ მიიღება საქმის არსებითი განხილვის დროს, როგორც მტკიცებულება. მოწმე ამ შემთხვევაში ვალდებულია გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება მხოლოდ სასამართლოში. პრაქტიკაში გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი იძულება, მუქარა, ფიზიკური ძალადობა, უხეშობა და სიცრუე.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მანძილზე მხარეებს აქვთ უფლება, ნებაყოფლობით გამოკითხონ ნებისმიერი პირი, ვინც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ასეთი სახით გამოკითხული პირი არ იძენს მოწმის სტატუსს, რადგან არ ხდება მისი გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

მოწმის სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება და უშუალოდ დაკითხვა. სასამართლოს არსებით სხდომაზე უშუალოდ ხდება მტკიცებულებების გამოკვლევა, მაგრამ დაშვებულია გამონაკლისი - კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში - მოწმის ჩვენების გამოქვეყნება, რაც არღვევს შეჯიბრებითობისა და უშუალობის, სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპებს, რადგან ამ დროს ირღვევა თვით ბრალდებულის უფლება, უშუალოდ დაიკითხოს მოწმე. ასევე ღიად რჩება ბევრი საკითხები და დაცვის მხარეს არა აქვს შესაძლებლობა, აწარმოოს ჯვარედინი დაკითხვა.

დაკითხვის ინდივიდუალურობის პრინციპი. ამ პრინციპის არსი იმაში გამოიხატება, რომ გამოკითხვის პროცესი უნდა წარიმართოს „ერთი-ერთზე“, მესამე პირის დასწრების გარეშე. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, მართალია საქმის განხილვა

ღიაა, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცალკეული კატეგორიის საქმეები დახურულია და აქ, როგორც იტყვიან, დაკითხვა მიმდინარეობს ერთი ერთზე.

არის ცალკეული სიტუაციები, როცა კანონი მხარეს ავალდებულებს გამოკითხვა აწარმოოს მესამე პირის თანდასწრებით (არასრულწლოვანის დაკითხვას უნდა ესწრებოდეს მშობელი, პედაგოგი და ფსიქოლოგი, ყრუ მუნჯის დაკითხვას - თარჯიმანი, ხოლო იმ პირის გამოკითხვა/დაკითხვას, ვინც არ იცის სამართალწარმოების ენა - თარჯიმანი; უნდა იყოს გათვალისწინებული ინდივიდუალური მიდგომის მკაცრი წესების დაცვა თითოეული დასაკითხი პირების მიმართ, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკეული მოწმის ინდივიდუალურ-კონკრეტული პირობები.

დისპოზიციურობა - დისპოზიციურობის პრინციპი ნიშნავს მოწმის არჩევანს, გამოიყენოს თუ არ გამოიყენოს თავისი პროცესუალური უფლებები და დააფიქსიროს თავისი პოზიცია სისხლის სამართლის საქმეზე (მაგალითად იმუნიტეტის გამოყენება).

გაუთქმელობის ვალდებულების პრინციპი. გაუთქმელობის ვალდებულების პრინციპი ამყარებს უდანაშაულობის პრეზუმპციის საყოველთოდ აღიარებულ პრინციპს. ეს პრინციპი დასახვეწია, რადგან პირისათვის ბრალის წაყენების შემდეგ პროკურატურა იღებს გადაწყვეტილებას პროცესის მონაწილე მხარე ანუ ბრალდებული, ადვოკატი ან/და მოწმე დაავალდებულოს, არ გათქვან სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მაშინ, როცა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმე ვალდებულია არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ.

დაკითხვის ეფექტურობის პრინციპი. გამოკითხვის/დაკითხვის ეფექტურობას უზრუნველყოფს მთელი რიგი ისეთი საკითხების გათვალისწინება, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დასაკითხი პირისგან სწორი და ობიექტური ჩვენება, გავხადოთ დაკითხვა მიზანსწრაფულ მოქმედებად. დაკითხვის ეფექტურობას განაპირობებს ამ საგამოძიებო მოქმედების მომზადებულად ჩატარება, დაკითხვის გეგმის სწორად შედგენა, საქმის მასალების კარგად ცოდნა, დაკითხვის დროისა და ადგილის სწორად განსაზღვრა, დასაკითხ პირთან ნორმალური ფსიქოლოგიური ურთიერთობის დამყარება, დაკითხვის ჩატარება ნორმალურ პირობებში და ვითარებაში, დაკითხვის ტაქტიკური ხერხების შერჩევა კონკრეტული სიტუაციისა და დასაკითხი პიროვნების გათვალისწინებით, გადავიწყებული ფაქტებისა და გარემოების გახსენება - აღდგენაში ხელის შეწყობა.

მეცნიერულ-ტაქტიკური ხერხების გამოყენება. ეს პრინციპი, რომელიც გამოიყენება დაკითხვის პროცესში, უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებაში მყარად და საიმედოდ დადგენილ

დებულებებს. დაკითხვის ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა იყოს შემოწმებული და აპრობირებული პრაქტიკაში.

ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვის პრინციპი. როგორც გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში, ისე ტაქტიკური ხერხების გამოყენების დროს, დაცული უნდა იყოს ზნეობრივ-ეთიკური ნორმები. დაუშვებელია დაკითხვის დროს ისეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენება, რომელიც ამცირებს მოწმის პატივსა და ღირსებას, საშიშია მისი ჯანმრთელობისათვის, დაკითხვის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიცრუეს, უსაფუძვლო დაპირებებს, ჩვენების გამოძალვას, შანტაჟს. არ შეიძლება ისეთი ფსიქოლოგიური ,,ეშმაკობა" და ფსიქოლოგიური „ხაფანგების" გამოყენება, რომელიც ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენს მოწმის დაკითხვაზე.[10] საპროცესო კანონის მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შეღავათის დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.

2.3. მოწმეთა სახეები და კატეგორიები

იურიდიულ ლიტერატურაში მოწმის სამართალსუბიექტობის ცნებაში იგულისხმება მოწმედ გამოძახებულ პირთა ფსიქიკური ვარგისიანობა. მოწმის ვარგისიანობა დამოკიდებულია პირის უნარზე სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს, აღიდგინოს და გადმოსცეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ მას ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.

ყრუ-მუნჯი მოწმის დაკითხვა ტარდება სათანადო ცოდნის მქონე პირის (თარჯიმნის) საშუალებით, რომელიც თარგმნის ყრუ-მუნჯი პირის მიერ გამოთქმულ აზრებს. ყველა მოწმე, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტი, პირობითად შეიძლება რამოდენიმე ჯგუფად დავყოთ **აღქმის მიხედვით** - თვითმხილველი მოწმე და „სმენითი" მოწმე, რომელიც სხვის მონაყოლს, გაგონილს, მოსმენილს გადმოგვცემს და შეუძლია

[10] გ. დეკანოზიშვილი, დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, დისერტაცია, თბ., 2009, გვ. 23.

მიუთითოს ინფორმაციის წყარო; **ბრალდებასთან მიმართებაში** - ბრალდების მოწმეები და დაცვის მოწმეები. ფსიქოლოგიური დატვირთვა ამ ჯგუფის მოწმეებს შორის განსხვავებულია. დაცვის მოწმეები გამოდიან ბრალდებულის მხარეს, ხოლო ბრალდების მოწმეები კი - სახელმწიფო ბრალდების მხარეს.

თუ მოწმე მართლია, ის არავის მხარეს არ გამოდის. მოწმე ყოველთვის უნდა იყოს ჭეშმარიტების მხარეზე, უნდა გადმოსცემდეს რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს. ამის დადგენა ცოტა რთული ამოცანაა მოწმის პოზიციებიდან გამომდინარე, თავიანთ მოვალეობასთან დამოკიდებულებით.

იურიდიული თეორია და პრაქტიკა განასხვავებს საქმეზე დაინტერესებულ და დაუინტერესებელ, კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მოწმეებს, ხოლო მათ მიერ მოცემული ჩვენება კვალიფიცირდება, როგორც მართებული და მცდარი.[11]

ა) **მართლი მოწმეები.** ასეთი მოწმის დაკითხვა სირთულეს არ წარმოადგენს. მთავარია, მათ მოვუსმინოთ. შემდეგ კი უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა გამოკითხულ/დაკითხულ პირს მოცემული საქმის მიმართ რაიმე ინტერესი, კერძოდ, წინასწარ შექმნილი აზრი ან ხომ არ არის მიკერძოებული;

ბ) **ცრუ მოწმეები.** ესენი არიან მართალი მოწმის ანტიპოდები (საწინააღმდეგო, განსხვავებული აზრის მქონე), რომელიც იძლევა ცრუ ჩვენებას, რომელსაც ისე მოჰყავს ფაქტები, რომ გადამოწმება რთული იყოს. ცრუ მოწმეებთნ მუშაობა ცოტა რთულია. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს დაკითხვის დეტალებსა და თნმიმდევრობაზე. კითხვები უნდა იყოს მოულოდნელი და დამაბნეველი, რომ არ მიეცეს მოფიქრების საშუალება;

გ) **სამართლდამცავი ორგანოების მუშაკები.** ისინი ყველაზე საშიში და პროფესიონალი მოწმეები არიან. როგორც წესი, მათი ჩვენება ატარებს სტერეოტიპიურ ხასიათს, კარგად წინასწარ მომზადებულია, ცდილობენ, მოკლედ ჩამოაყალიბონ ან გამოუქვეყნონ ჩვენება, რადგან ხშირად უწევთ სასამართლოების წინაშე გამოსვლა და ჩვენების მიცემა;

დ) **მოწმე, რომელსაც არ სურს იყოს მოწმე.** მოწმეს, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არა აქვს, უარი განაცხადოს ჩენების მიცემაზე, მაგრამ ძალიან არ სურს ჩვენების მიცემა. ასეთი კატეგორიის მოწმეები ცდილობენ მოკლედ თქვან სათქმელი, კითხვებზე იძლევიან პასუხებს: „დიახ“, “ არა“ ან „არ მახსოვს“. ყურადღება უნდა გამახვილდეს „მიჭირს პასუხის გაცემა“, ასეთი მოწმეები გამომძიებელთა/ადვოკატთა მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი. ასეთი მოწმეების მიმართ შედეგის მომტანია მათი მახსოვრობის წაქეზება;

[11] გ. დეკანოზიშვილი, დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, დისერტაცია, თბ., 2009, გვ. 134.

ე) **მოწმეები, ვინც საჯელი მოიხადეს პენიტენციურ დაწესებულებებში.** თუ ეს პირი ბრალდების მოწმეა, არასდროს არ უნდა დაუსვათ კითხვა მის წარსულზე. მისი ჩვენება ყოველთვის კრიტიკულად უნდა იქნეს შეფსებული სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად. და თუ აუცილებელი არაა, საერთოდ არ უნდა დაიკითხოს;

ვ) **დოკუმენტთა ავთენტიკურობის დადგენის მიხედვით**. მოწმე, რომელმაც მოიპოვა/შექმნა დოკუმენტი (გამომძიებელი, ექსპერტი) ან/და რომელთანაც ინახება დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე. პირები, ვისაც ენიჭებათ მოწმის უფლებები და ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. არსებობს სახვადასხვა კატეგორიის მოწმეები: **დამყოლი** - ასეთი მოწმეები ძირითდად გამოირჩევიან ბრალდებულის დახმარების სურვილით და სურთ, რომ იხილონ მართლმსაჯულება. თუმცა, ამავე დროს მათ შესაძლოა არ მოისურვონ სასამართლოში მოწმედ წარსდგომა. **ნეიტრალური** - ამ კატეგორიას განეკუთვნებიან დამოუკიდებელი მოწმეები, რომლებსაც არა აქვთ რაიმე კონკრეტული დამაბრკოლებელი მიზეზი, რათა ესაუბრონ დაცვის მხარეს, თუმცა, განიცდიან ზოგად უხერხულობას პროცედურული საკითხების მიმართ, არ სურთ ჰქონდეთ რაიმე სახის კავშირი განსახილველ საქმესთან. **დაპირისპირებული** - ასეთი მოწმეები ძირითადად ბრალდების მხარეს არიან გადახრილი. ისინი გამოირჩევიან სიტყვამუნწობით და გამოდიან დაზარალებულის ინტერესების დამცველად, წარმოადგენენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ან ყოფილ პოლიციის თანამშრომლებს, შესაძლოა ასეთ მოწმეებს რაიმე კავშირი ჰქონდეთ პოლიციასთან ან უბრალოდ იყვნენ პროკურატურის, პოლიციის მხარდამჭერები.[12]

[12] სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარ-ჩვევებში, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA POLI), მერიდინი, თბ., 2012, გვ. 59-60.

თავი 3. მოწმის უფლება-მოვალეობები და იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში

3.1. მოწმის უფლებები

სსსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოწმემ სასამართლოში დაკითხვის წინ უნდა დადოს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი. ფიცის დადების ვალდებულებას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ფიცი გარკვეულწილად ბოჭავს მოწმეს სიცრუისაგან და იგი კეთილსინდისიერად მისცემს სასამართლოში ჩვენებას. ამიტომ, ფიცის ქვეშ უფრო მეტია მოწმისგან ჭეშმარიტი ინფორმაციის მიღების ალბათობა. ფიცის დადების წინ სასამართლომ მოწმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე-3711 მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ფიცის დადების ვალდებულებისგან კანონმდებელი ათავისუფლებს პირს, რომელიც თავისი რწმენის ან სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე. ასეთ შემთხვევაში მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელებით. იგი სასამართ-ლოს უდასტურებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს (სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე; გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული მოწმის უფლებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს და იცავს მოწმის სხვა უფლებებსა და ინტერესებსაც, რომელთა თაობაზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლშია მითითებული. ასე, მაგალითად, კანონმდებელი იცავს მოწმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას და ითვალისწინებს რეპრესიების რისკის ქვეშ მყოფი მოწმის ე.წ. „პროცესის მონაწილის

დაცვის სპეციალურ პროგრამაში“ ჩართვას, როდესაც არსებობს ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფის საფრთხე.

მოწმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია აგრეთვე მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოწმის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს დახუროს სასამართლოს სხდომა ნაწილობრივ და დახურულ სხდომაზე დაჰკითხოს მოწმე, თუ არსებობს მოწმის პირადი ცხოვრების სფეროს მიკუთვნებული მონაცემების გახმაურების საფრთხე (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კანონით, ასევე მოწმეს აქვს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება კანონით განსაზღვრულ პირთა წრის მიმართ.

მოწმეს, უფლებებთნ ერთად კანონი აკისრებს ვალდებულებებს, კერძოდ, მოწმის ვალდებულებები განისაზღვრება სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, იგი ვალდებულია: გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით, უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ, დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს, სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი. რაც შეეხება სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებას, აღნიშნული მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ, მისი მოქალაქეობის მიუხედავად.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, თუ მას სასამართლოს უწყებით გამოიძახებენ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადების ვალდებულება არსებობს მხოლოდ სასამართლოში. არავინ არ არის ვალდებული, ჩვენების მისაცემად გამოცხადდეს პროკურორთან ან გამომძიებელთან.

სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არსებობს როგორც საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს, ისე გამოძიების ეტაპზეც, ვინაიდან, სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოწმე იძულებით მიიყვანონ სასამართლოში (სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-3 ნაწ¬ილი).

გარდა ამისა, სასამართლოში მოწმის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მას განკარგულებით დააკისროს ჯარიმა, რაც მოწმეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან (სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

თუ რა მიიჩნევა საპატიო მიზეზად, აღნიშნული განმარტებულია სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილით. საპატიო მიზეზად მიიჩნევა პროცესის მონაწილის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებები, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

მოწმის სტატუსით სასამართლოში გამოძახებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეს შესაძლოა სასამართლოში გამოუცხადებლობა ჩაეთვალოს საპატიოდ, განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში არსებობს მათი დაკითხვის სხვა სამართლებრივი მექანიზმი ე.წ. დისტანციური დაკითხვის სახით. სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური და-კითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოწმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მოწმე ვალდებულია სასამართლოში მისცეს ჩვენება და უპასუხოს მხარეების მიერ დასმულ შეკითხვებს. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენებისათვის, მოწმეს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 370-ე და 371-ე მუხლები). მოწმისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს ასევე მის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა (სსკ-ის 371-ე მუხლი).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმეში პირები არ იქნეს მოწმედ დაკითხული. ამასთან, ერთ შემთხვევაში თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ უშვებს პირის მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას, ხოლო მეორე შემთხვევაში პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს, უფლება აქვთ პირი გაათავისუფლონ მოწმის მოვალეობისაგან.

ამასთან, იმის გასარკვევად, მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის, ფსიქიკური დაავადების გამო შეუძლია თუ არა პირს მოვლენების სწორად აღქმა, დამახსოვრება, აღდგენა და გადმოცემა, შესაძლებელია საჭირო გახდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მოწვევა ან ექსპერტიზის ჩატარება.[13]

3.2. მოწმის პასუხისმგებლობა და იმუნიტეტი

საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლის თანახმად მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა (ჯარიმა ან საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა, ან გამასწორებელი სამუშაო, ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხ წლამდე).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ, და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი - მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

თუ მოწმე შეგნებულად მართლმსაჯულებას შეუშლის ხელს, რაც გამოიხატება მის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით (ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე.) ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენის შემთხვევაში სასჯელი გამკაცრებულია (თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე). თუ მოწმის მხრიდან ადგილი ექნება მსგავსი ქმედების არაერთგზისობას, კანონით სასჯელი უფრო მკაცრია.

მოწმე სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება, თუ გამოძიებით დადგინდება, რომ მასზე განხორციელდა ზემოქმედება (დაყოლიება/მოსყიდვა/იძულება ცრუ ჩვენების ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, მიცემული ჩვენების შეცვლა, თუ ამას ერთვის მისთვის ანდა მისი ახლო ნათესავისათვის ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებლის შეთავაზება ან მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების, განადგურების ანდა სხვა მუქარა).

მოწმე, რომელმაც მისცა სხვისი მამხილებელი ჩვენება, ვალდებული, არ გადაუხვიოს თავისი განცხადებებიდან, რდგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა „მართლმსაჯულებს განხორციელებისათვის ხელის შეშლის“ გამო, თუ იგი უარყოფს თავდაპირველ ჩვენებას. ეს ნორმაც პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ჭეშმარიტების დადგენას ხელს არ უწყობს მოწმის ჩვენების

[13] ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თბ., 2007, გვ. 239-240.

შესწორების კრიმინალიზაცია. მოწმეს მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს წინასასამართლო დაკითხვაზე არასწორი განცხადების გაკეთებისათვის. თუ მოწმე გადაწყვეტს, თქვას სიმართლე სასამართლო პროცესზე, ეს გამოიწვევს ბრალდებულის გათავისუფლებას. იგი ამისთვის დაისჯება სისხლის სამართლის წესით. მეორე პრეტენზია აღნიშნული ნორმის მიმართ ის გახლავთ, რომ სსკ-ის 371 -ე მუხლი მოწმეს აიძულებს ცრუ ჩვენების მიცემით დანაშაულის ჩადენას.[14]

ტერმინი „იმუნიტეტი" ლათინური სიტყვაა (immunitas) და ნიშნავს რაიმესაგან გათავისუფლებას, ე.ი. ცალკეული პიროვნების ხელშეუხებლობას, მასზე კანონის გაუვრცელებლობას.[15]

იმუნიტეტი პრივილეგიის განსაკუთრებული სახეა. სამართლებრივი იმუნიტეტი - ეს არის განსაკუთრებული შეღვათები და პრივილეგიები, რომელიც ათავისუფლებს პირს გარკვეული უფლებებისა და მოვალეობისაგან. იურიდიულ ლიტერატურაში, იმისდა მიხედვით, ვინ არის იმუნიტეტის სუბიექტი, გამოყოფენ იმუნიტეტის რამოდენიმე სახეს, კერძოდ: პრეზიდენტის იმუნიტეტი, დეპუტატის იმუნიტეტი, სასამართლოს იმუნიტეტი, სახელმწიფოს იმუნიტეტი, დიპლომატიური იმუნიტეტი. მათ შორის, სამართლებრივი იმუნიტეტის სახეს წარმოადგენს მოწმის იმუნიტეტი.

მოწმის იმუნიტეტი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „არავინ არ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განსაზღვრება კანონით". კანონით განსაზღვრულ ახლობელთა წრეს მიეკუთვნება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ.

მოწმის იმუნიტეტი, რომ არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, ეს არ არის იმპერატიული მოთხოვნა, არამედ მისცეს თუ არა ჩვენება და გამოვიდეს სასამართლოში მოწმედ ნებაყოფლობით პრინციპზეა დამყარებული. რაიმე იძულება ამ შემთხვევაში დაუშვებელია. სასამართლო პროცესზე,

---

[14] ე. ხუციშვილი, ს. ვერძეული, ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია თბ., 2012, გვ. 76-77;

[15] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, მეორე გამოცემა, თბ., 1973, გვ. 25.

როცა სასამართლო გაარკვევს მოწმის ურთიერთობას ბრალდებულთან, მას განემარტება უფლება, სურს თუ არა ჩვენების მიცემა თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ. მოწმე ნებაყოფლობით, თავისი სურვილით, თვითონ იღებს გადაწყვეტილებას - სასამართლოს წინაშე გამოვიდეს მოწმედ ან უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე.

იმუნიტეტის ქვეშ იგულისხმება მოწმის უფლება, არ მისცეს თავისი ან ახლო ნათესავების საწინააღმდეგო ჩვენება. მოწმის იმუნიტეტის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება განისაზღვროს, როგორც სამართლებრივი პრივილეგია, სამართლებრივი ხელშეუხებლობა, პროცესის მონაწილეთა უფლებათა დაცვის ინსტიტუტი, კონკრეტული პირის (პროცესის მონაწილის) უფლება.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმებს, რომელთ საფუძველზე მოწმეთა გარკვეული კატეგორიები თავისუფლდებიან ჩვენების მიცემისაგან. საქმეზე - უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria) სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი ნორმები არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ქვეპუნქტის დებულებებს.[16]

როგორც ზემოთ დავინახეთ, პირი, რომელიც გარკვეულ ცნობებს ფლობს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ვალდებულია მისცეს ჩვენება სასამართლოში და თუ იგი არ გამოცხადა, სასამართლოში სხდომაზე შეიძლება მისი იძულებით მიყვანა. ამ ზოგადი ვალდებულებებიდან არსებობს ცალკეული გამონაკლისები და სისიხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმპერატიულად ადგენს იმ პირთა ჩამონათვალს, ვინც თავისუფლდება მოწმედ გამოცხადებისა და ჩვენების მიცემის ვალდებულებებისგან.

ეს პირები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: პირები, რომლებიც პროფესიიდან გამომდინარე, თავისუფლდებიან ჩვენების მიცემის ვალდებულებებისგან, პირები, რომლებიც თანამდებობიდან გამომდინარე თავისუფლდებიან ამ ვალდებულებებისგან და ისინი, რომლებიც, განსაკუთრებული საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, არ არიან ვალდებულნი, მისცენ ჩვენება.

თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები, რომელსაც განეკუთვნებიან ადვოკატი ან პირი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა ბრალდებულს დაცვის მიღებამდე, სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მიერ უფლებამოსილი პირი. ეს პირები არიან იმ პროფესის წარმომდგენლები, რომლებიც ხშირად საიდუმლოებების შუაგულში არიან.

[16] კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთშორისო სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004.

საფრანგეთში ამ პროფესიის ადამიანებმა ბრალდებულის მუდარის შემთხვევაშიც კი უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.

ანალოგიური პრინციპის განმტკიცებული, გერმანიის კანონმდებლობითაც, იმ განსხვავებით, რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა თუ ამას თავისი გადაწყვეტილებით დაადგენს მოსამართლე.

ადვოკატები, დამცველები (მათ შორის სახალხო დამცველი და მისი ნდობით აღწურვილნი) არიან ე.წ. თვისუფალი პროფესისი წარმომადგენლები, იმისთვის, რომ სათანადო დონეზე განხორციელდეს პირის დაცვა. ადვოკატმა მაქსიმალურად სრული და ობიექტური ინფორმაცია უნდა იცოდეს ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედების და დანაშაულის სხვა გარემოებების შესახებ. თუ ადვოკატს ექნება ამ გზით მიღებული ინფომაციის სასამართლოზე გათქმის ვალდებულება, ბუნებრივია, არც ერთი ბრალდებული აღარ იქნება გულწრფელი თავისი დამცველთან და ამის გამო დამცველის ფუნქციების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

სასულიერო პირები - ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართმადიდებელი ქრისტიანია. სასულიერო პირები და ზოგადად, ეკლესია, დიდი გავლენით სარგებლობს საზოგადოებაზე. სასულიერო პირების ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან გათავისუფლებით საპროცესო კოდექსი ფაქტობრივად უზრუნველყოფს აღსარების საიდუმლოების დაცვას და ამით კიდევ ერთხელ იკვეთება ის განსაკუთრებული როლი, რომელსაც ქრისტიანულ რელიგიას ანიჭებს ქართული სახელმწიფო.

ჟურნალისტები - ამ პროფესის წარმომადგენლები დიდი გარჯა უწევთ პროფესიული საიდუმლოების მოსაპოვლებად. საკითხი მნიშვნელობას იძენს როდესაც ფიქრობენ, რომ ჟურნალისტებმა ბევრი იციან, განსაკუთრებით კი - მათ მიერ წარმოებული პარალელური გამოძიების მეშვეობით. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოში ჩვენების მიცემის ვალდებულებებისგან თავისუფლდებიან ე.წ. თავისუფალი პროფესიის კიდევ ერთი ტიპის წარმომადგენლები - ჟურნალისტები, მათი პროფესიული საქმიანობიდან მიღებული ცნობებიდან გამომდინარე. ჟურნალისტები თავიანთი რეპორტაჟებისა თუ გადაცემების მზადების ფარგლებში ხშირად ატარებენ ერთგვარ ჟურნალისტურ გამოძიებას. მათ ხშირად უწევთ შეხება დანაშაულებრივი ინფორმაციის შემცველ ფაქტებთან. ჟურნალისტის იძულებითი დაკითხვა, მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მიღებული ცნობების შესახებ არსებითად შეზღუდავდა იმ თავისუფლებას, რომელიც აუცილებელია ამ პროფესით სრულყოფილად მუშაობისათვის.

პირები, რომლებიც თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, თავისუფლდებიან ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან - გარკვეული სახელმწიფო მოხელეებიც შიძლება

ფლობდნენ მართლმსაჯულებისათვის საინტერესო ინფორმაციას. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას სასამართლოსათვის აუცილებელ და საყოველთაოდ აუცილებელ, ე.ი. სახელმწიფოებრივ ინტერესებ შორის.

პირები, რომლებიც ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან მათი საპროცესო სტატუსიი გამო. კერძოდ, ბრალდებულის ახლო ნათესავი, ამ შემთხვევაში საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით ე.წ. ადამიანური ფაქტორი და ცალკეული პირები გათავისუფლდა თავიანთი ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან. ნათესავებს არ ღალატობენ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ კანონმდებელმა შექმნა ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან გათავისუფლების ეს კანონისმიერი საფუძველი. ეს წესი თავდაპირველად საერთო სამართლის სისტემაში იშვა. მაგალითად, კანადური კანონმდებლობა სამხილების შესახებ ადგენს, რომ მოწმედ გამოძახებულ ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია არ გასცეს მეორე მეუღლის მიერ მისთვის განდობილი საიდუმლო ცნობები.

2019 წელს საქართველოში ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 6000-ზე მეტ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წარედგინა 4564 პირს. მათი მამხილებელი მტკიცებულება იყო მეუღლის ჩვენებები.

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ქართული სახლმწიფო ინსტიტუტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. ამ ტიპის დაზარალებულებს ცალკე კანონი ანიჭებს უფლებას, ისარგებლონ მოსაფიქრებელი ვადით (ეს ვადა შეადგენს 30 დღეს), რათა გადაწყვიტონ, მიმართონ თუ არა სამართალდამცავ ორგანოებს სისხლისსამართლებლივი დევნის დასაწყებად და დამნაშავეთა დასასჯელად. ეს ვადა აითვლება დაზარალებულის მიერ შესაბამისი ორგანოსადმი (ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება ან სამართალდამცავი ორგანო) მიმართვის დღიდან.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, სამედიცინო მუშაკს, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა ანდა პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობითაა მიღებული, რომ არ გაამჟღავნოს კომერციული ან საბანკო საიდუმლოება და ჟურნალისტს, თუ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას

საქართველოს კანონით ეკისრებათ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და იმავდროულად, აქვთ ინფორმაცია არასრულწლოვანის მიმართ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხ. მე-3 ნაწ. ,,დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწ. ,,გ“ ქვეპუნქტით, 139-ე მუხ. მე-2 ნაწილით, 140-ე და 141-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 255-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით, 255^1 ან 255^2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, სურვილის შემთხვევაში მოწმის სახით ჩვენების მიცემა არ ჩაითვლება ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევად.[17]

[17] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., 2013, გვ. 173-176.

თავი 4. მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიური ასპექტები

4.1. მოწმის მიერ ფაქტებისა და გარემოებების არქმა, დამახსოვრება და გადმოცემა

ჩვენების ფორმირების პროცესში უნდა განვასხვაოთ სამი უმნიშვნელოვანესი ეტაპი: აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა.

აღქმა ჩვენების ფორმირების ის საწყისი ეტაპია, რომლის დროსაც ხდება გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ასახვა მეხიერებაში გადასატანი სმენის, მხედველობის და სხვა მგრძნობელობითი, ყნოსვის, გემოვნების და სხვ.) ორგანოების მეშვეობით.

ჩვენების ფორმირების ამ პირველ ეტაპზე - აღქმის ხარისხის და სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს მოცემული მომენტისათვის ამა თუ იმ პირის ფსიქოლოგიური განწყობა, მისი დამოკიდებულება გამოსაძიებელ შემთხვევასთან და მისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებები. კერძოდ, მისი პროფესია, სპეციალობა, განათლება, მისი ფიზიკური განვითარება და სრულყოფილება. მაგალითად, როგორი სმენადობისაა იგი - ხომ არ აქვს სმენის ნაკლებობა, - დაქვეითებული სმენა; როგორი მხედველობისაა იგი - ახლომხედველია თუ შორსმხედველი; როგორია მისი მხედველობითი დამოკიდებულება ფერებისადმი და სხვ.

მხევდელობაში მისაღებია ისიც, რომ აღქმის სისრულეზე გრკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე დასკითხი პირის ყურადღების გაფანტულობა გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე ფაქტის მიმართ იმ მომენტისთვის, რაზეც იყო მისი ყურადღება გადატანილი.

ზოგჯერ ერთმანეთისგან განასხვავებენ აღქმის ისეთ სახეებს, როგორიცაა: თვითნებური უნებური სახის აღქმა. თვითნებური აღქმის დროს პიროვნების ყურადღება, როგორც წესი, გადატანილია იმაზე, რომ რაც შეიძლება სწორად და სრულყოფილებად აღიქვას და დაიმახსოვროს ნახაზი. ამა თუ იმ ფაქტის უნებური აღქმის დროს კი სუბიექტის ყურადღება გაფანტულია და ამიტომ მის მიერ აღქმული ესა თუ ის ფაქტი შესაძლოა ნაკლები სიზუსტით ხასიათდებოდეს, რაც უდავოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების აღქმის სისწორესა და სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე სუბიექტის ისეთი განწყობა, როგორიცა: ძლიერი აღელვება, ნერვიულობა, სიმთვრალე, აღგზნებადობა, შიშის გაზვიადებული წარმოდგენა,

დაღლილობა, დაზარალებულისა და ბრალდებულის მიმართ მისი დამოკიდებულება ან მომხდარი ფაქტისადმი მისი უინტერესო დამოკიდებულება და სხვ.

აღქმის სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: ცუდი მეტეოროლოგიური პირობები - წვიმა, ჭექა - ქუხილი, ქარი, სიბნელე, ხმაური და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღქმაზე ზეგავლენის მქონე სუბიექტური ფაქტორებს უნდა მივაკუთნოთ ის, რაც დაკავშირებულია დასაკითხი პირის თვისებებთან, მის განწყობასთან. ობიექტურს კი ის ფაქტორები და გარემოებები, რაც დაკავშირებული არაა დასაკითხი პირის მახასიათებელ გარემოებებთან და მის ფსიქოლოგიურ განწყობასთან და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ.

დამახსოვრება - მასზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს მისი ჯანმრთელობა და ასაკი, აღქმული საგნების ცოდნა და შთაბეჭდილების სიძლიერე. კერძოთ, ის თუ როგორი ემოციები გამოიწვია გამოსაძიებელმა შემთხვევამ მოცემული პირის აღქმის პროცესში, რამდენად იშვიათი იყო ეს შემთხვევა მისთვის, რამდენად აღაშფოთა ამ გარემოებამ იგი და რამდენად ძლიერ იმოქმედა მასზე, როგორია მისი მეხსიერების ძალა და აღქმულის მეხსიერებაში შენახვის სიძლიერე (ხომ არაა იგი მალემავიწყებადი და ხვ.), რა პერიოდმა განვლო მოცემული ფაქტების აღქმიდან და სხვ. ამ უკანასკნელ გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დროთა განმავლობაში ყველაფერი ქრება და დრო, რომ იტყვიან, თვით დაზარალებულსაც „განკურნავს“ და მისი მეხსიერებიდანაც თანდათან ქრება დანაშაულებრივი ქმედებით მისთვის მიყენებული შემზარავი ფაქტების კონტურები.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგჯერ მომხდარი დაქტის უშუალოდ შემსწრე ამა თუ იმ პირის იმავდროულად დკითხვამ შეიძლება ვერ მოგვცეს ეფექტური შედეგები და მიღებული ჩვენება არ იყოს სრული იმის გამო, რომ მომხდარი დანაშაულებრივი ქმედებით პირმა განიცადა დიდი ფიზიკური დტვირთვა და ემოციონალური განცდები და ვერ შეძლო აღქმულის სრულყოფილი გაანალიზება და გადმოცემა. ამიტომ, ასეთი პირის დაკითხვა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მის მიერ აღქმული ფაქტის უკეთ გახსენებისა და ჩამოყალიბების მიზნით, შესაძლოა უმჯობესი იყოს ჩატარდეს აღქმული ფაქტიდან რამოდენიმე საათის ან რამოდენიმე დღის შემდეგ.

გადმოცემა. ზემოაღნიშნული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ასევე დიდ გავლენას ახდენს ჩვენების ფორმირების პროცესის მესამე შემაჯამებელი სტადიაზე -

აღქმულისა და დამახსოვრებულის გადმოცემაზე, რომლის დროსაც მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს პირის მიდრეკილება აღქმული ფაქტის გაზვიადებისა და ფანტაზიისადმი, მისი შთაგონება და უნარი, შეუცდომლად და სრულყოფილად გადმოსცეს დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ აღქმული და დამახსოვრებული ფაქტობრივი გარემოებები, შეუძლია თუ არა მოახდინოს აღქმული და დამახსოვრებული ფაქტების შეულამაზებლად გადმოცემა და სხვ. ყოველივე ეს საჭიროა დაკითხვის დაწყებამდე სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული დასაკითხი პირის მახასიათებელ ნიშნებთან ერთად და სხვ.

ჩვენების ფორმირების პროცესზე ზემოაღნიშნული ფაქტორების გავლენას თავის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებით აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელმა და მის აღმოსაფხვრელად და დასაკითხი პირისგან სწორი ობიექტური ჩვენების მისაღებად სათანანოდ მოემზადოს, სრულყოფილად გაეცნოს საქმეში არსებულ მასალებს და მარჯვედ გამოიყენოს სასამართლო ფსიქოლოგიისა და დაკითხვის ტაქტიკური ხერხების რეკომენდაციები. ამასთან, საჭიროა, გამომძიებელმა წინასწარ განსაზღვროს დაკითხვის საგანი ანუ ის, თუ მოცემული დასაკითხი პირისგან რა სახის, რაზე და რის შესახებ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია და რა საშუალებით.

თავი 5. მოწმის დაკითხვის პროცესუალური და კრიმინალისტიკური თავისებურებები

5.1. მოწმის გამოკითხვა და დაკითხვა გამოძიების სტადიაზე

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ფიზიკური პირისაგან ინფორმაციის მოპოვების ორ წესს - გამოკითხვას და დაკითხვას.

გვაქვს ორი სახის გამოკითხვა: ა) გამოკითხვა, როგორც საპოლიციო ღონისძიება[18][19] და ბ) გამოკითხვა, როგორც საგამოძიებო მოქმედება, რომელიც რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით;

გამოძიების ეტაპზე საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს პირის გამოკითხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია გამოძიების ეტაპზე გამოიკითხოს ის პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის თვითმხილველია, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ სარგებლობს მოწმის სტატუსით. რადგან გამოკითხვა არაპროცესუალური წესით ხდება, გამოკითხულ პირს არ აფრთხილებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, იგი არც ფიცს დებს, თუმცაღა, ეს სრულებით არ არის მხარეების მიერ მოწმის გამოკითხვის წინაღობა.[19]

გამოკითხვა მიზნად ისახავს პირისგან ნებაყოფლობით საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას და ამ ინფორმაციის საფუძველზე საქმისათვის მნიშვნელოვანი ახალი მტკიცებულებების მოპოვებას. კერძოდ, გამოკითხვისას პირმა მხარეს შეძლება მიაწოდოს ინფორმაცია სქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების/ინფორმაციის წყაროს ვინაობის და ადგილსამყოფლის შესახებ [მაგ., მიუთითოს ბრალდებულის ვინაობა თუ ეს უცნობია გამოძიების ორგანოსათვის, დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილსამყოფელი (ვინ და სად გადამალა), თავდამსხმელთა რაოდენობა და გარეგნული მახასიათებლები და ა.შ.]; აღნიშნულის საფუძველზე ჩატარდეს სხვა საგამოძიებო მოქმედებები [მაგ., იმ ადგილის ჩხრეკა/ დათვალიერება, სადაც გამოკითხულის მტკიცებით ბრალდებულმა გადამალა დანაშაულის იარაღი], მხარემ განსაზღვროს გამოკითხვისას მითითებული სხვა პირების

---

[18] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მე-19 მუხ.; საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, თბ., 2017, გვ. 397-400;

[19] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ჯ. გახოკიძის, მ, მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ., 2015, გვ. 47.

არსებით განხილვაზე მოწვევის მიზანშეწონილობა და ა.შ. ამდენად, გამოკითხვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის გახსნისა და გამოძიების წარმოებაში.

მოწმის დაკითხვისგან განსხვავებით, მოწმის გამოკითხვა ნებაყოფლობითია და დაუშვებელია პირის იძულება, გასცეს ინფორმაცია ან წარმოადგინოს მტკიცებულება, თუმცა, ბრალდების მხარეს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით დაიბაროს გამოსაკითხი პირი და დაკითხოს მაგიტრატი მოსამართლის წინაშე გამოძიების ეტაპზე, თუ პირი უარს განაცხადებს ბრალდების მხარის ინიცირებულ გამოკითხვაში მონაწილეობაზე.

სადაო არ უნდა იყოს, რომ გამოსაკითხი პირისაგან იძულების წესით მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა.[20]

გამოსაკითხი პირები ორ ჯგუფად იყოფა: ა) პირები, რომელთა მიმართ არსებობს მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი, მაგრამ არ არსებობს ბრალის წაყენებისათვის საკმარისი მტკიცებულებები, ამ შემთხვევაში გამოკითხვის მიზანია, გადამოწმდეს ეჭვის საფუძვლიანობა (მაგ.: პირების გამოკითხვისას შესაძლებელია გამომჟღავნდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც საფუძვლად დაედება მათ ბრალდებას); ბ) პირები, რომლებიც ფლობენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას - მაგალითად, დაზარალებული, თვითმხელველი მოწმე.

გამოსაკითხ პირს უფლება აქვს: საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია და აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე.

გამოკითხვის წარმოების უფლება აქვთ მხარეებს. გამოკითხვის დაწყებამდე პირს უნდა განემარტოს მისი უფლებები [მათ შორის, უარის თქმის და ადვოკატის ყოლის უფლება] და უნდა გაფრთხილდეს ცრუ დასმენის [სსკ მუხლი 373] და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის [სსკ მუხლი 370] მოსალოდნელი სისხლისსამართებლივი პასუხისმგებლობის შესახებ. გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ბრლდების მხარემ უნდა განუმარტოს პირს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოცხადების და დაკითხვის სავალდებულობის, სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისამართებლივი პასუხისმგებლობის შესახებ.

კანონი არ აზუსტებს გამოკითხვის ჩატარების ადგილს. შესაბამისად, გამოკითხვის ნებაყოფლობით ხასიათიდან გამომდინარე, ის შესაძლებელია ჩატარდეს როგორც სამართალდამცავი ორგანოს შენობაში, ასევე გამოსაკითხი პირის სამყოფელ ადგილას

[20] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, ამერიკის იურისტთ ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა ((ABA ROLI), თბ., 2014, გვ. 209.

[მაგალითად ბინაში, სამუშაოს ადგილას], შემთხვევის ადგილზე და ა.შ. იმავდროულად, ადგილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოკითხვის გადაუდებლობა, გამოკითხვის გარემო[მშვიდ და წყნარ პირობების არსებობა], გამოსაკითხი პირის გამოცხადების შესაძლებლობა და სხვა გარემოებები.

გამოკითხვის მიმდინარეობა აისახება გამოკითხვის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ მონაწილე პირები - გამოკითხული პირი, გამომძიებელი, ადვოკატი/თარჯიმანი და სხვა პირი - ასეთის არსებობის შემთხვევაში. ოქმი უნდა შედგეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი უარს აცხადებს გამოკითხვაზე. ამ შემთხვევაში უართან ერთად უნდა აღინიშნოს უარის მიზეზები, და ის რომ პირს განემარტა მაგისტრატ მოსამართლესთან შესაძლოა დაკითხვის წესი და პროცედურა, სასამართლოში დაკითხვისას ადვოკატის ყოლის უფლება [აღნიშნულის მიზანია ადვოკატის წარმოდგენის მოტივით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის დაწყების გაჭიანურების პრევენცია. პირს გაფრთხილებიდან სასამართლოში დაბარებამდე საკმარისი დრო ექნება ადვოკატის მოწვევისათვის].

ოქმში ასევე მითითებული უნდა იქნეს გამოსაკითხი პირის პირადი მონაცემები იმისდა მიუხედავად, პირი თანხმდება თუ უარს ამბობს გამოკითხვაზე იმისთვის, რომ მოგვიანებით ბრალდების მხარემ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობაში მიუთითოს დასაბარებელი პირის ზუსტი მონაცემები და სასამართლომ ამ მონაცემებზე დაყდნობით უზრუნველყოს პირის დაბარება დაკითხვაზე.

გამოკითხვისას შესაძლებელია ჩამწერი ტექნიკური საშუალების გამოყენება (რის შესახებაც გამოკითხვის დაწყებამდე უნდა ეცნობოს გამოსაკითხ პირს), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებზე სადაც ჩვენების შეცვლის ალბათობა მაღალია. ეს ჩანაწერი მოგვიანებით არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების შეცვლის შემთხვევაში მოწმის იმპეჩმენტისათვის და სსსკ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის მოთხოვნისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული.

იმავდროულად, სსსკ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გულისხმობს უპირატესობის მინიჭებას გამოკითხვის დროს მოპოვებული ინფორმაციისათვის და მის უპირობოდ სარწმუნოდ მიჩნევას, არამედ სასამართლოს შესაძლებლობას ანიჭებს შეაფასოს მოწმის მიერ სასამართლოში მიწოდებული ინფორმაციის სარწმუნოობა და მოწმის სანდოობა. ამ ეტაპზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა უკვე აღარ ხდება, მაგრამ განაჩენის დადგენისას სასამართლოს უფლება აქვს არ გაიზიაროს მოწმის ჩვენება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს მტკიცებულებათა გაცვლის დროს გამოკითხვის ოქმის გადაცემას მოწინააღმდეგე მხარისათვის - ბრალდების მხარემ - დაცვის მხარეს, და დაცვის მხარემ - ბრალდების მხარეს. კანონით მოწმის დაკითხვა სასამართლო პროცესზე არსებითი განხილვისას არ მოხდება და დაუშვებელია თუ მხარეს არ გადაეცემა ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი;

მოწმის გამოკითხვის ოქმის გაცნობა მხარეებისთვის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც დაცვისა და ვერც ბრალდების მხარე ვერ დაასაბუთებს კონკრეტული პირის მოწმის სახით დაბარების აუცილებლობის იმ ინფორმაციის მნიშვნელობაზე აპელირებით, რაც მოწმემ უნდა მიაწოდოს სასამართლოს [საქმისათვის მნიშვნელოვანი რა საკითხის შესახებ ფლობს მოწმე ინფორმაციას, რატომ არის მნიშვნელოვანი მისგან ინფორმაციის მოსმენა]; ვერ შეძლებს შეეწინაღმდეგოს/უკუაგდოს/გააპროტესტოს მეორე მხარის შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის შესახებ სწრაფი მართმსაჯულების ან სამართალწარმოების სამართლიანობაზე აპელირებით [მაგ., მოწმეს არ აქვს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მას შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს სასამართლოს იგივე საკითხებთან დაკავშირებით; რის თაობაზეც უკვე დაიკითხა არაერთი სხვა მოწმე და ამ მოწმე არ იცის და ობიექტურად არც შეიძლება იცოდეს მოცემული ვითარებაში გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებული ინფორმაცია - რაც დასტურდება გამოკითხის ოქმით და მასში მოწმის მიერ აღწერილი მისი ფუნქციური დატვირთვით, შემთხვევის დროს მოწმის შემთხვევის ადგილის მიმდებარედ არ ყოფნით, ბრალდებულთან მისი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე და ა.შ.]; გამოკითხვის ოქმი მხარემ შიეძლება გამოიყენოს არსებით სხდომაზე მოწმისთვის შესახსენებლად; მოწმის ჩვენების სანდოობის და ჩვენების სარწმუნოობის ეჭვს ქვეშ დასაყენებლად [როდესაც არსებით სხდომაზე მიცემული ინფორმაცია არსებითად განსხვავდება იგივე მოწმის გამოკითხვის ოქმში მითითებული ინფორმაციისგან.[21]

დღევანდელი კანონმდებლობით, გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარეს შეუძლია გამოკითხოს მოწმე. მოწმის გამოკითხვა მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. წინასასამართლო სხდომაზე კი, მოსამართლე მოწმის დასაკითხ პირთა სიაში შეყვანის აუცილებელ წინაპირობად ზემოაღნიშნულ გამოკითხვას მოითხოვს, რათ დაადგინოს მისი რელავანტურობა და შემხებლობა საქმესთნ. თუ დაცვას არა აქვს წარმოდგენილი გამოკითხვის ოქმი იმიტომ, რომ მოწმემ მას გამოკითხვზე უარი განუცხადა, დაცვას აღარ

[21] საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, რედაქტ. ლ. ფაფიაშვილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ. 403-404.

რჩება ამ მოწმის სასამართლოში გამოძახების მექანიზმი.ეს კი ცალსახად არახეისაყრელ მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს.[22]

პროცესის ყველა მონაწილისგან ჩვენების ჩამორთმევა დაკითხვით ხორციელდება ერთნაირი წესით-მოწმის სტატუსით: სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ან გამოძიების ეტაპზე - მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სსსკ 114-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. დაკითხვა ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაა, იგი მართლმსაჯულებაში მტკიცებულების მიღების და შემოწმების ერთ-ერთი პირველი პროცესუალური მოქმედებაა.[23]

დაკითხვა საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანის მოქმედება ანუ ქცევა მხოლოდ ფიზიკურ პროცესს არ წარმოადგენს. ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებაში არსებით როლს ფსიქიკური პროცესები ასრულებენ. ადამიანის გარკვეული მოქმედების ძირითად მომენტს წარმოადგენს საგნის ან მოვლენის აღქმა. მსჯელობა, მოქმედების მიზნის დასახვა, მისი წარმოდგენა, სურვილი, მისწრაფება, შეფასება და ა.შ.

დაკითხვა - ეს არის ჩვენების მიღების პროცესი მოწმისაგან, რომელიც ფლობს გამოსაძიებელ საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს. დაკითხვა რთული საგამოძიებო მოქმედებაა. მისი წარმოება მოითხოვს მაღლ ზოგად და პროფესიულ კულტურას, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას, ტაქტიკურ- კრიმინალისტიკური ხერხების მარჯვე ფლობას, დაკითხვის მიზანი სრული და ობიექტური სინამდვილის გამომხატველი ჩვენების მიღებაა. ეს ჩვენება მტკიცებათა წყაროა, ხოლო მასში შემავალი ფაქტობრივი მონაცემები - მტკიცებულება.[24]

დაკითხვა იყოფა რიგ სტადიებად, რომელთა მიმდინარეობისას თანმიმდევრულად წყდება ჯერ შუალედური ამოცანები და შემდეგ კი მიიღწევა საბოლოო მიზანი - დანაშაულის გამოვლენა და მისი შემადგენლობის დადგენა და დამტკიცება.[25]

---

[22] ე. ხუციშვილი, ს. ვერძეული, ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბ., 2012, გვ. 44;

[23] გ. დეკანოზიშვილი, დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, დისერტაცია, თბ., 2009, გვ. 145.

[24] იხ. იქვე, გვ. 146.

[25] ი. ამინოვი, იურიდიული ფსიქოლოგია,ნ. ერიაშვილის რედაქციით, სამართლიანი საქართველო, თბ., 2008, გვ. 253.

მოსამზადებელი ეტაპი წინ უსწრებს გამომძიებლის/ადვოკატის და დასაკითხი პირის უშუალო შეხვედრას. ამ ეტაპის მიზანია დასაკითხის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიღება, ქცევის გენერალური ხაზის განსაზღვრა, დაკითხვისას ამა თუ იმ ხერხისა და მეთოდების გამოყენების ტაქტიკური თვისებურებანი. ამ სატადიაზე მნიშვნელოვანია დასაკითხ პირს ჩამოუყალიბდეს დადებითი დამოკიდებულება მომავალი პროცედურის მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია მოწმის თობაზე აუცილებელი ინფორმაციის მიღება მასთან შემდგომი ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამაყარებლად. ასეთ ინფორმაციას შეიძლება მივაკუთვნოთ: ტემპერამენტი, ხასიათი უნარის თვისებურებანი, ჩვევები, ინტერესი გატაცება, ნაკლი, ცხოვრებისეული მიზანი, ფასეულობანი, მრწამსი, პროფესიული უნარ ჩვევები.

ფსიქოლოგიური კონტაქტის დადგენის სტადია. დაკითხვის პროცედურა მიმდინარეობს არა ვაკუმში, არამედ სხვადასხვა გარემო ვითარებაში - გამომძიებლის/ადვოკატის კაბინეტში ან გამოსაკითხი პირის საცხოვრებელ ადგილზე. არსებული სიტუაცია და გარემოებები მოქმედებს მოწმის გრძნობებსა და გონებაზე. დასაკითხი ადგილის ფონი აყალიბებს მის გუნება-განწყობას, ქმნის იმ ემოციურ ფონს, რომელიც ფსიქოლოგიური კონტაქტის ჩამოყალიბებაზე, დაბალანსებაზე ან დარღვევაზე; ფსიქოლოგიური კონტაქტი - ეს არის ადამიანთა ურთიერთქმედების სისტემა მათი ურთიერთობის პროცესში, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე, აგრეთვე, ეს არის საინფორმაციო პროცესი, როდესაც ადამიანებს შეუძლიათ და სურვილიც გააჩნიათ, აღიქვან ერთმანეთისაგან გამომდინარე ინფორმაცია.

მოწმეს გამომძიებელმა/ადვოკატმა დაკითხვისას უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მოწმეს გაუჩნდეს გამომძიებელთან/ადვოკატთან ურთიერთობის სურვილი. ამისათვის კი საჭიროა: მოწმის პიროვნული თვისებების გათვალისწინება, კორექტულად და მაღალ კულტურულ დონეზე მოქცევა, არ დაუშვას დასაკითხი პირის მიმართ გულგრილი მოპყრობა, კეთილმოსურნე და ნდობით აღსავსე ურთიერთობის დამყარებ, რაც სისხლის სამართლის საქმის მთელი გამოძიების განმავლობაში კონკრეტულ თანამშრომლობას განაპირობებს. დაკითხვის მესამე სტადია სამი ფაზისაგან შედგება: დასაკითხის თვისუფალი თხრობა, დეტალიზაცია და მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია.

მეხსიერება მოიცავას სამ ეტაპს: ინფორმაციის რეგისტრაციას, შენახვასა და აღდგენას. ჩვენი ტვინი შიფრავს და რეგისტრაციას უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, მხოლოდ ამის შემდეგ ამ ინფორმაციის შენახვა სამომავლოდ. ჩვევლებრივ, მეხსიერების პრობლემები მაშინ იჩენს თავს, როცა ამ სამი ეტაპიდან რომელიმე ირღვევა.

არსებობს რამოდენიმე ტიპის მეხსიერება, მათ შორისა სენსორული მეხსიერება, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერება. სენსორული მეხსიერების დროს ტვინი ინფორმაციას ღებულობს შეგრძნების ორგანოებით (ყნოსვით, მხედველობით, შეხებით) მოკლევადიანი მეხსიერება ცოტა ხნით ინახავს მცირე მოცულობის ინფორმაციას; ხანგრძლივი დროით ინფორმააცის დამახსოვრება ხდება შემდეგი პრინციპებით:

ინტერესი - დაინტერესება იმ საკითხებით, რისი დამახსოვრებაც გვსურს. გაცილებით უკეთ იმახსოვრებს ადამიანი იმას, რაც მის ემოციებს უკავშირდება;

ყურადღება - ცუდი მეხისიერების შედეგი ხშირ შემთხვევაში უყურადღებობა; **კონსოლიდაცი**ა - ამ შემთხვევაში ადამიანის ტვინი ითხოვს დროს, რათა ინფორმაცია აღიქვას და გადამუშავოს; ამას ხელს უწყობს ინფორმაციის ვინმესთვის მოყოლა. **ასოციაცია** - ახალი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უკვე ნაცნობ ინფორმაციასთან დაკავშირება;

წარმოდგენა - გონებაში წარმოდგენა, იმისა თუ რისი დამახსოვრება სურს პიროვნებას; ასეთ შემთხვევაში უფრო კარგად იბეჭდება ინფორმაცია გონებაში;

დაჯგუფება - მსგავსი და ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხების დაჯგუფება.

მოწმის დაკითხვისას იქმნება მთელი რიგი ფსიქოლოგიური გარემოებანი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელმა/ადვოკატმა. მათ შორის, მთვარია ადამიანის მეხსიერების ისეთი თავისებურება, როგორიცაა დავიწყება. ამ შემთხვევაში აუცილებელია მოწმეს გაეწიოს **მნემონიკური** დახმარება, რათ მან გაიხსენოს განსახილველი საქმისთვის მნიშვნელობის მქონე დავიწყებული ფაქტები, გარემოებები. ამისთვის აუცილებელია დაკითხვის წარმართვა, ისე რომ ყოველი წინა კითხვა ამზადებდეს მომდევნოს, ხოლო ყოველი მომდევნო წარმოადგენდეს წინას ლოგიკურ გაგრძელებას რათა დასკითხის პასუხი ქმნიდეს მის მიერ აღქმულიი მოვლენის სრულ აღწერას; სწორად წარმართული დაკითხვის შედეგად კეთილსინდისიერი დასაკითხი გაიხსენებს საქმის ნამდვილ გარემოებებს, ხოლო ცრუმოწმე იძულებული იქნება სწორი ჩვენება მისცეს.

ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხული იქნეს მხარეთ მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. ამ დებულებაში ხაზგასმულია ის, რომ გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი. ასეთი პირი არ არის მოწმე - მას არ გააჩნია ინფორმაციის მიცემის ვალდებულება. მის მიერ მიცემული ინფორმაცია მხოლოდ ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ასეთი ინფორმაცია საშუალებას

აძლევს მხარეს გადაწყვიტოს - გამოიძახოს თუ არა გამოკითხული პირი სასამართლოში მოწმის სახით. მიუხედავად ამისა, კანონი მაინც ითვალისწინებს მოწმის დაკითხვას გამოძიების დროს, თუმცა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში და ისიც მხოლოდ მაგისტრი მოსამართლის წინაშე. საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას; გ) გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება შეუძლებელია; დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზოგადი წესის თანახმად, მოწმის დაკითხვა ხდება საქმის არსებითი განხილვი დროს სასამართლოში. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იგი შეიძლება დაიკითხოს გამოძიების სტადიაზეც. ამ სტადიაზე მოწმის დაკითხვა ხდება თუ არსებობს რეალური გარემოემები, რომელთა გამო მოწმემ შესაძლოა არსებითი განხილვის დროს ვეღარ მისცეს ჩვენება. ასეთ გარემოებათა არსებობის მხარე შუამდგენლობით მიმართავს გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრად მოსამართლეს. მხარე შუამდგომლობაში ასაბუთებს მოწმის გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საჭიროებას. საპროცესო კოდექსი არ უთითებს კონკრეტულ ვადას, რა ვადაშიც უნდა გადაწყდეს ეს შუამდგომლობა, მაგრამ უთითებს რომ მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობას წყვეტს გონივრულ ვადაში.

ასეთი მოწმის დაკითხვა სტანდარტულ რეჟიმში მიმდინარეობს, მოწმეს იბარებენ სასამართლო უწყებით და დაკითხვაში მონაწილეობენ მხარეები, მაგისტრატი მოსამართლე ხელმძღვანელობს მოწმის დაკითხვას. თუ მოწმის დაკითხვის ინიციატორი მხარე არ გამოცხადდება მოწმე აღარ დაიკითხება, ხოლო თუ მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადება, მოწმე დაიკითხება მხოლოდ მისი გამოძახების ინიციატორი მხარის მონაწილეობით.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ გამოძიების სტადიაზე დაკითხვისას, რომელიმე მხარის მონაწილეობა ხელს შეუშლის მოწმის დაკითხვას (მაგალითად, რომელიმე მხარის შიშით მოწმე მოერიდება სიმართლის თქმას), მხარის შუამდგომლობით მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას მოწმის მეორე მხარისგან საიდუმოლოდ დაკითხვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოწმე ხელახლა უნდა დაიკითხოს

არსებითი განხილვის დროსაც თუ, რა თქმა უნდა ეს შესაძლებელია. სხვა შემთხვევაში მისი ჩვენება მტკიცებულებად არ გამოიყენება.

დაკითხვა წარმოადგენს ერთდროულად როგორც ინფორმაციის მოპოვებას, ასევე მისი შემოწმების საშუალებას, ვინაიდან დაკითხვისას ხდება პირის მიერ ადრე მიწოდებული ინფორმაციის სარწმუნოობის გადამოწმება. ეს თვისება განსაკუთრებით აშკარაა სასამართლოში, სადაც დასაკითხი პირი ექვემდებარება ჯვარედინ დაკითხვას, რომლის ძირითადი მიზანია მოწმის სარწმუნოობის შემოწმება, მისი პირადი დაინტერესების და ჩვენებაზე ამ დაინტერესების ხარისხის გავლენის განსაზღვრა.

როგორც წესი, ბრალდებული დაცვის მხარის მოწმეა, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ბრალდებულის დაკითხვა შესაძლებელია ბრალდების სანდოობის, მის მიერ გამოკითხვის ეტაპზე მიწოდებული ინფორმაციის ან მისი იმპიჩმენტის მიზნებისათვის. მიუხედავად იმისა რომ ბრალდებულისთვის ჩვენების მიცემა მისი უფლებაა, აღნიშნული, არ ართმევს ბრალდების მხარეს ბრალდებულის დაკითხვის ინიცირების შესაძლებლობას, მაგრამ ბრალდებული ჩვენებას მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში იძლევა. თუმცა, თუ ბრალდებულმა განაცხადა თანხმობა ჩვენების მიცემაზე, მას დაეკისრება სს პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემისათვის, მაგრამ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, როდესაც უარს დუმილის უფლების საფუძველზე აცხადებს.

როგორც ავღნიშნეთ, საპროცესო კანონის თანახმად, მოწმის დაკითხვა უნდა განხორციელდეს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სასამართლოში, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში პირის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე მნიშვნელოვანია გამოძიების სწორად და ეფექტიანად განხორციელებისათვის. ამიტომაც, სსსკ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევაში მოწმის სახით პირის დაკითხვას გამოძიების ეტაპზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე.

დაკითხვის წარმოების პროცედურის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე დაკითხვა პირობითად იყოფა: 1. დაკითხვა ორივე მხარის მონაწილეობით; 2. დაკითხვა ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის ინფორმირების გარეშე; 3. დაკითხვა გამოკითხვაზე უარის თქმის გამო.

გამოძიების ეტაპზე დეპონირებული ჩვენების ჩამორთმევა/დაკითხვა ორივე მხარის მონაწილეობით ხორციელდება. დაკითხვა მხოლოდ ინიციატორი მხარის მონაწილეობით დაიშვება, როდესაც: 1. დაკითხვა ხდება გამოკითხვაზე პირის უარის გამო; 2.სამართლებრივი

დახმარების შესახებ უცხო ქვეყნის შუამდგომლობის საფუძველზე პირის დაკითხვისას; 3. მართლმსაჯულების ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით - როდესაც არსებობს მხარის შუამდგომლობა მეორე მხარის ინფორმირების და დასწრების გარეშე პირის დაკითხვის თაობაზე.

პირველი ორი შემთხვევა ავტომატურად იწვევს მეორე მხარის ინფორმირების გარეშე მოწმის დაკითხვას, ხოლო მესამე შემთხვევაში - მხოლოდ ინიციატორი მხარის მონაწილეობით პირის დაკითხვა დაიშვება მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ამას შუამდგომლობს ინიციატორი მხარე და სასამართლო აკმაყოფილებს მის თხოვნას. სამივე შემთხვევაში მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მოწმის ხელახალი დაკითხვა არსებითი განხილვის სხდომაზე ორივე მხრის მონაწილეობით.

უწყების ჩაბარებისას მოწმედ დასაკითხ პირს უნდა ეთხოვოს განაცხადოს: 1. თარჯიმნის საჭიროების; 2. იმ საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ, რის გამოც მოწმე ვერ შეძლებს დანიშნულ დროს გამოცხადებას და ამ მიზეზის აღმოფხვრის სავარაუდო დრო. აღნიშნულის შესახებ კეთდება ოფიციალური ჩანაწერი უწყების მეორე პირზე/კომუნიკაციის ოქმში, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა მოსამართლეს.

სსსკ თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილი და დაკითხვა დაწყებული უნდა იქნეს შუამდგომლობის რეგისტრაციიდან 24 საათში. გამონაკლის შემთხვევაში დაკითხვა შეიძლება გადადებული იქნეს. კერძოდ, მოსამართლე მხარესთან შეთანხმებით გონივრული ვადით გადადებს დაკითხვის წარმოებას და აღნიშნულს სტყობინებს მეორე მხარეს [როდესაც დაკითხვა უნდა ჩატარდეს მეორე მხარის მონაწილეობით], როდესაც: მოწმე საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში; მოწმის სახით დასაკითხი პირი ითხოვს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის ან/და თარჯიმნის დანიშვნას; მეურვეობის და მზრუნველობის ორგანომ უნდა დანიშნოს არასრულწლოვანი მოწმის საპროცესო წარმომადგენელი, ვინაიდან მოწმის კანონიერი წარმომადგენელი ვერ დაესწრება სხდომას.

გამოძიების ეტაპზე პირის მოწმედ დაკითხვის შემთხვევაში არ მოქმედებს ნასამართლეობის შესახებ კითხვის დასმის შეზღუდვა. შესაბამისად, ინიციატორ მხარეს შეუძლია დაკითხოს მოწმე ნასამართლეობის საკითხზეც იმისდა მიუხედავად, აღნიშნული საჭიროა მოწმის სანდოობის თუ სხვა საკითხის გამორკვევისათვის.

შუამდგომლობა გადაწყვეტილი და დაკითხვა დაწყებული უნდა იქნეს შუამდგომლობის შეტანიდან 24 საათში. ამიტომ, თუ შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის

შესახებ შეტანილია გამოძიების ადგილის მიხედვით, მაგრამ დასაკითხი პირის ადგილსამყოფელი ტერიტორიულად მნიშვნელოვნად არის დაშორებული, რის გამოც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ დაკითხვა შესაძლებელია ვერ განხორციელდეს სსსკ დადგენილ ვადაში, სასამართლო ინიციატორი მხარის თანხმობის შემთხვევაში შუამდომლობას [და მასთან დაკავშირებულ საქმის მასალებს] ელექტრონული სახით დაუყოვნებლივ უგზავნის სასამართლოს მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოწმის იმპიჩმენტის მიზნებისათვის, სსსკ ითვალისწინებს მხარის შესაძლებლობას საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ნებისმიერ დროს, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მოითხოვს სასამართლო სხომაზე გამოცხადებული მოწმის გამოკითხვის ოქმის ან მის მიერ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მიცემული ჩვენების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ჩვენების აუდიო ან ჩანაწერის დემონსტრირება(მოსმენა). მხარის მოთხოვნა სასამართლოსთვის სავალდებულოა და სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს. გამონაკლისია ბრალდებულის შემთხვევა. კერძოდ, თუ ბრალდებული წიინაღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვის, ამ ინფორმაციის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის დემონსტრირება და ამ ინფორმაციის მტკიცებულებად გამოიყენება დაუშვებელია.

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის დაკითხვის შუამდგომლობა დაყენებისას პირმა უნდა გაითვალისწინოს როგორც მინიმუმ: 1. ინიციატორმა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა ამტკიცოს დაკითხვის საჭიროება; 2. მოწმის ნეგატიური დამოკიდებულება სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის და მათთვის ინფორმაციის გაზიარების საკითხში; 3. პირის უარი გამოკითხვაზე ავტომატურად არ ქმნის სასამართლოში დაკითხვის საჭიროებას/საფუძველს [პირს დეტალურად უნდა განემარტოს განსხვავება გამოკითხვისა და დაკითხვას შორის და უარის შემთხვევაში სასამართლოში დაბარება]; 4. პირისგან ინფორმაციის მნიშვნელობა საქმეზე გამოძიების მიზნებისათვის [მაგ., ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია სხვა საგამოძიებო მოქმედების განხორციელება. მგალითად, თვითმხილველი მოწმის დაკითხვის გარეშე დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირება, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტება [მაგ.: ბრალდებული მარტო იყო თუ ახლდა სხვა პირებიც, დანაშაულის ჩამდენი პირი ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა თუ რაიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, დაზარალებულის, ბრალდებულის ქცევა და ა.შ.].

პირის უარი გამოკითხვაზე შესაძლებელია სხვადასხვა სახით იქნეს გამოხატულია. მაგალითად, პირი ცხადდება გამოკითხვაზე, მაგრამ უარს აცხადებს ინფორმაცის მიწოდებაზე, ან პირი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება გამოკითხვაზე.

პირმა უარი გამოკითხვაზე შესაძლებელია თქვას რამოდენიმე მიზეზით. მაგალითად, 1. გამოძიების ორგანოებისადმი უნდობლობა-მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია; 2. მისთვის კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია უცნობია; 3. ვინაიდან გამოკითხვა ნებაყოფლობითია, ის უბრალოდ არ თვლის საჭიროდ ამ ეტაპზე გამოძიების ორგანოსთან თანამშრომლობას მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნია გამოძიებისადმი მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება.

ნებისმიერ შემთხვევაში გამოკითხვის ოქმი უნდა შედგეს და მასში დეტალურად აღინიშნოს: უფლებების და შედეგების განმარტება, უარის თქმის მიზეზი, გამოსაკითხი პირის მაინდენტიფიცირებადი ინფორმაცია და უქმი ხელმოწერილი უნდა იყოს გამომძიებლის და გამოსაკითხი პირის მიერ.

თუ ბრალდები მხარე შუამდგომლობს რამდენიმე პირის გამოკითხვას - თითეულ მათგანთან მიმართებით შუამდგომლობა წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკ-ცალკე შესაბამისი მტკიცებულებების მითითებით.

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაკითხვა დაწყებული უნდა იქნეს შუამდგომლობის რეგისტრაციიდან 24 საათში. ვადა შეიძლება დაირღვეს და დაკითხვა დაიწყოს მოგვიანებით, თუ სახეზეა კუმულატიურად ორივე წინაპირობა: გამოსაკითხი პირი საპატიო მიზეზის გამო ობიექტურად ვერ ახერხებს დანიშნულ დროს გამოცხადებას, და ბრალდების მხარე თანახმა დაყოვნებაზე.

დაკითხვის დროს, ადგილისა და მოწმის გამოძახების ფორმის განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენცია [სასამართლო გამოძახების უწყებაში/შეტყობინებაში მიუთითებს - ვინ, სად, როდის, ვისთან, რასთან დაკავშირებით, რატომ უნდა გამოცხადდეს და გამოუცხადებლობის შენთხვევაში-მოსალოდნელ შედეგებს]. დასაკითხი პირის სასამართლოში წარმოდგენა ბრალდების მხარის მიერ არ ხდება. გამონაკლისია, თუ დასაკითხი პირი წინასწარ წერილობით გამოხატავს თანხმობას, რომ მისი სასამართლოში გამოცხადება უზრუნველყოს ინიციატორმა/ბრალდები მხარემ [წერილობითი თანხმობა საჭიროა იმისათვის, რომ მოგვიანებით მოწმემ არ დააყენოს მასზე ზემოქმედების საკითხი]

და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ემსახურება მოწმის ფინანსური, ტრანსპორტირების ან სხვა პრობლემები გამო დაკითხვის დაწყების გაჭიანურების პრევენციას.

თუ დასაკითხი პირი მაგისტრატ მოსამართლესთან არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, ბრალდების მხარეს სხდომის გახსნის და სასამართლოს მიერ გამოუცხადებლობის მიზეზის დადგენის შემდეგ შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა დასაკითხი პირის იძულებითი მოყვანის შესახებ [ამ შუამდგომლობის უფრო ადრე დაყენება დაუშვებელია]. სასამართლო შუამდგომლობის გადაწყვეტისას განსაზღვრავს იძულებითი მოყვანი დროს და ადგილს, პირს ვისაც ევალება იძულებითი მოყვანი განჩინების აღსრულება.

5.2 მოწმის დაკითხვა სასამართლოში

მოწმის სტატუსის მინიჭების შემდეგ (ფიცის დადება) მათი დაკითხვა სასამართლოში ხდება ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ. მოსამართლეს არა აქვს უფლება, დაკითხოს ან შეკითხა დაუსვას მოწმეს (შეკითხვას დაუსვამს ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში). ვფიქრობ, რომ ეს ხარვეზს წარმოადგენს კანონმდებლობაში. შეიძლება, გარკვეული მოსაზრებით, კანონმდებელმა გაითვალისწინა რაღაც მომენტები, მაგრამ ეს დეტალურად უნდა იქნეს დარეგულირებული, რადგან საბოლოოდ მოსამართლეს საქართველოს სახელით გამოაქვს განაჩენი და პასუხისმგებელია ამ განაჩენის წინაშე, თუმცა, პრაქტიკში არ ყოფილა შემთხვევები რომელიმე მოსამართლის თუნდაც დისციპლინარული წესით დსჯისა, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და მეორე ან უზენაესს სასამართლოს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი ან პირიქით.

სასამართლოში მოწმე დებს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცს. ფიცის დადების წინ სასამართლომ მოწმეს უხსნის ფიცის მნიშვნელობას და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე–371[1] მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას.

რელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ“. მოწმე უპასუხებს: „ვფიცავ. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“.

არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ“. მოწმე უპასუხებს: „ვფიცავ!“.

თუ მოწმე აცხადებს, რომ იგი თავისი რწმენისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცვლელი დადასტურების განხორციელებით. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით ადასტურებთ თუ არა, რომ იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ?“. მოწმე უპასუხებს: „დიახ, ვადასტურებ!“.

მოწმის მიერ ფიცის დადების ან ფიცის შემცვლელი დადასტურების განხორციელების ფაქტი დასტურდება მის მიერ ფიცის ან დადასტურების ტექსტზე ხელმოწერით.

დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას. სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მოწმეს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, რა საქმეზეა გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით, და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მოწმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან.

დაკითხვის დაწყებისთანავე მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას მისი შეწყვეტინება დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები ამ კოდექსის 244-ე მუხლის შესაბამისად. პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა ამ კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

ნასამართლობის შესახებ შეკითხვა მოწმეს შეიძლება დაესვას, თუ ის საჭიროა მოწმის სანდოობის დადგენისათვის. თუ მოწმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა,

რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით.

დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვისას, ხოლო შემოწმების შემდეგ დაუბრუნონ მას ან დაურთონ საქმეს.

დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ მოწმეს წარუდგინონ საქმეზე დართული საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოწმის დაკითხვის წესი რეგულირებულია საქართველოს სსსკ-ის 118-ე მუხლით, კერძოდ:

1. ბრალდების მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალდების მხარე, აგრძელებს დაცვის მხარე და პირიქით.

2. მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.

3. არ დაიკითხება ის მოწმე, რომელიც იმ მომენტში ვერ წარდგება სასამართლოს წინაშე ამ კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება მისი წინასასამართლო ჩვენება. ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების გამოცხადება სასამართლოში. თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.

სასამართლო სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს მხარეებისა და მოწმეების გამოცხადების ფაქტს და გამოუცხადებლობის მიზეზებს.

გამოცხადების შემოწმების შემდეგ მოწმედ დასაკითხი პირები, გარდა ბრალდებულისა, ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გასცეს აღნიშნული პირების მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის განკარგულება და იღებს ზომებს, რომ დაკითხვამდე მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონდეთ.

გამოძიების დროს მოწმის დეპონირებული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, ასევე მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა

(დემონსტრირება) დასაშვებია, თუ მოწმე გარდაიცვალა, არ იმყოფება საქართველოში, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და ჩვენება მიცემულია საპროცესო კანონით დადგენილი წესით.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს და მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მოწმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, ასევე მისი აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის (დემონსტრირების) თაობაზე ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის დაუცველად. არ შეიძლება მხოლოდ ეს მტკიცებულება დაედოს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

სასამართლოში მოწმის დაკითხვა იწყება პირდაპირი დაკითხვით; პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელმაც დასაკითხი მოწმე გამოიძახა.

პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მოწმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. პირდაპირი დაკითხვის შემდეგ იწრმოება ჯვარედინი დკითხვა, რომელსაც აწარმოებს მხარე, რომელსაც დასაკითხი მოწმე არ გამოუძახებია.

ჯვარედინი დაკითხვისას დასაშვებია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მოწმეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ სასამართლო პროცესზე ხდება მხარეთ მიერ მოწმის ხელახალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა შეკითხვებზე ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით, ხოლო ხელახალი ჯვარედინი დაკითხვისას – ხელახალი პირდაპირი დაკითხვის ფარგლებით. (მოწმის დაკითხვის ტაქტიკა დეტალურად განხილულია კრიმინალისტიკურ მეთოდურ სახელმძღვანელოებში და რეკომენდაციებში)

მოწმის დაკითხვის დროს დასმულ სადავო შეკითხვებს მხარის შუამდგომლობით განარიდებს სხდომის თავმჯდომარე.

მოწმე ვალდებულია, მიუთითოს ინფრმაციის წყარო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ მიცემული ინფორმაცია მტკიცებულებად არ დაიშვება. მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაც არის ამ ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს მოსამართლის კომპეტენციას და როლს მოწმის დაკითხვის სასამართლო სხდომაზე. მოსამართლე მოწმის დაკითხვის პროცესში მხოლოდ ტექნიკურ როლს ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ნათლად არ არეგულირებს მოსამართლის ჩართულობას დაკითხვის ეტაპზე, ახალი წესის მიზნებიდან გამომდინარე, მოსამართლეს პროცესში არ უნდა ქონდეს მხოლოდ ტექნიკური როლი, მოსამართლის ჩართულობა მოწმის დაკითხვაში აუცილებელია, ჯერ ერთი თვითინკრიმინირების საფრთხე და გამოძიების ფარგლებს მიღმა დასმული შეკითხვები. მოსამართლეს განაჩენის დადგენისას არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები, რაც ეჭვს იწვევს და ყოველგვარი ეჭვი არ უნდა წყდებოდეს ბრალდებულის სასარგებლოდ; სასამართლოში ხშირად დაკითხვისას იქმნება პირის თვითინკრიმინირების საფრთხე და პროკურატურა აშკარად ამეტებს უფლებამოსილებას, მაგისტრატი მოსამართლის ვალდებულებაა შეწყვიტოს ამგვარი დაკითხვა ან მოუწოდოს გამოძიებას საქმესთან შემხებლობაში დასვას კითხვები. ვინაიდან მოწმის დაკითხვის პროცესში მაგისტრატი მოსამართლის როლი არ არის განსაზღვრული, რთულდება მითითება კონკრეტული კომპეტენციის მომწესრიგებელ მუხლზე. ამ შემთხვევაში, მოსამართლის როლის განმარტება მოწმის დაკითხვის ახალი წესის შემოღების მიზნიდან უნდა მოხდეს.

დაკითხვა არ არის ნებაყოფლობითი ხასიათის. მოწმეს აქვს გამოცხადების ვალდებულება. თუ მოწმე უარს ამბობს ამ სამართლებრივი ვალდებულების შესრულებაზე, მას შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დაკითხვა ტარდება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. ამგვარი სახით, წინასასამართლო დაკითხვა დასაშვებია, მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც მოწმის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის შესრულება. დაკითხვისას მაგისტრატ მოსამართლეს, დაცვის მხარეს და პროკურორს აქვთ მოწმისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა. მოწმეს ჯერ კითხავს ის მხარე, რომელმაც მოითხოვა მისი დაკითხვა. მოწმე შეიძლება დაიკითხოს მეორე მხარის წინასწარ ინფორმირებისა და დასწრების გარეშე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით და თუ ეს შედის „მართლმსაჯულების ინტერესებში“.

თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მიცემული ჩვენება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად, თუ შესაძლებელია, მოწმის ხელახალი დაკითხვა. მოწმე ჯერ დებს ფიცს, ხოლო შემდეგ აძლევს ჩვენებას. მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია შეაწყვეტინოს მოწმეს, თუ საუბრობს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ არის საქმესთან შემხებლობაში.[29]

მოწმის დაკითხვის ახალი წესის ერთ-ერთი მიზანი დასაკითხი პირების თვითინკრიმინირების საფრთხისგან დაცვა უნდა იყოს. მოწმის დაკითხვის ახალმა წესმა უნდა უზრუნველყოს არა დასაკითხი პირის მხოლოდ წამებისგან ან არასათანადო მოპყრობისგან დაცვა, არამედ პირის დაცვაც თვითინკრიმინირების საფრთხისგან და გამოძიების მხრიდან მიზანმიმართული უარყოფითი ზემოქმედებისგან, რომ გამოძიებამ თავად რაც სურს, ის ალაპარაკოს მოწმე სასამართლო პროცესზე პასუხისგებაში მიცემის დაშინებით. უმჯობესი იქნება, საქმის გამოძიების დაწყებისთნავე მოწმეთა დაკითხვა ხდებოდეს სასმართლოში.

5.3. მოწმის ირიბი ჩვენება

გარდა მოწმის პირდაპირი ჩვენებისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ირიბი ჩვენების ინსტიტუტს. ერთმანეთისგან განასხვავებენ მოწმის პირდაპირ ჩვენებას (როდესაც პირი პირველწყაროდან მიღებულ ინფორმაციას აწვდის სასამართლოს, ჰყვება იმას, რაც თვითონ დაინახა, გაიგონა, იგრძნო და სხვ) და მოწმის ირიბ ჩვენებას[26]. ირიბი ჩვენების დროს მოწმეს მოჰყავს ისეთი ფაქტები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სხვა წყაროდან. საქართველოს სსსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

ირიბ ჩვენებას გააჩნია ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ინფორმაცია შეუძლებელია გადამოწმდეს ჯვარედინი დაკითხვით. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მაშინ, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც ირიბ ჩვენებას არ წარმოადგენს.ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას[27]. ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე კონკრეტულად ასახელებს იმ პირს რომელმაც მიაწოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ეს ცნობები. ირიბი ჩვენება დასაშვები დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში,

[26] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, გვ. 234;
[27] ბას დე ვილდე, რიჩარდ ვოგლერი, მოწმის დაკითხვის წესის რეფორმასაქართველოში, თბ., 2015, გვ. 46.

თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.

ამის შემდეგ, როგორც წესი, სასამართლო მოწმედ იძახებს დასახელებულ პირს, რომელიც თავად, უკვე პირველწყაროდან მიაწოდებს სასამართლოს ამ ცნობებს. მაშასადამე, ირიბი მტკიცებულება ძალას იძენს მხოლოდ მასთან დაკავშირებულ სხვა მტკიცებულებასთან ერთად. ირიბი ჩვენება ე.წ. ნაწარმოები მტკიცებულებაა, რომელიც ახდენს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების გაშუალებურ ასახვას. მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახვდეს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის დასადასტურებლად არის წარმოდგენილი. მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, თუ იგი იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არ არსებობის თაობაზე; ირიბი ჩვენება ზოგადადა ნაკლები სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს.[28]

მოწმის ჩვენება შესაძლებელია ემყარებოდეს ასევე ანონიმურ ან ოპერატიულ ინფორმაციას. განსხვავებით ანონიმური ინფორმაციისგან, ოპერატიული ინფორმაციის წყარო ცნობილია კანონით ზუსტად განსაზღვრული პირებისათვის, მაგრამ დაუშვებელია წყაროს საჯაროდ დასახელება. არც ოპერატიული და არც მით უმეტეს ანონიმური ინფორმაცია არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. ასეთი სახის ინფორმაცია თავისთავად არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რის გამოც უნდა მოხდეს მათი გადამოწმება კანონით დადგენილი წესით.

ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკაში არის ხარვეზები, როცა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ხდება სისხლისსამართლებივი დევნის დაწყება. პოლიციელები იკითხებიან და ისინი უჩვენებენ, რომ ინფორმაცია მიიღეს სანდო წყაროსაგან და არ ხდება ამ სანდო წყაროს დასახელება. სასამართლოები კი დასაშვებად ცნობენ ასეთი მოწმის ჩვენებებს.

მოწმის სახით დაკითხული პირის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს რაიმე ფაქტობრივ საფუძველს, რომლის გადამოწმება შესაძლებელია. დაუშვებელია მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობოდეს ჭორებს, მოარულ ხმებს, მოსაზრებას, ვარაუდს, კონკრეტულად არაიდენტიფიცირებად როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ჩვენების ელემენტების შემცველია. საუბრის შინაარსის ნაწილში თვითმხილველი მოწმე ასახელებს ინფორმაციის წყაროს ინდივიდუალური მახასიათებლების გარეშე. მაგრამ წყაროს ვინაობაც რომ იყოს

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის #1/1548 გადაწყვეტილება.

მითითებული, აღნიშნული ჩვენების გამოყენება განაჩენის დადგენის ან/და ბრალდებისათვის სსსკ მიხედვით იკრძალება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის #548-ე გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისად, როდესაც საქმეში არ არსებობს მოწმის მიერ მითითებული პოლიციელის ე.წ. პირდაპირი ჩვენება, აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება განაჩენის დადგენისათვის დაუშვებელია. მაგრამ განაჩენის დადგენის, ბრალდების და სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოწმის ის ნაწილი, რომლის თვითმხილველიცაა.

ირიბი ჩვენება შეიცავს მრავალ რისკს. ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად.

ირიბი ჩვენების გამოყენება სსსკ-ის მოქმედი რედაქციით იკრძალება გამამტყუვნებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის. ირიბი ჩვენების გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების და საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, დამატებითი მტკიცებულების მოძიების, მოწმის ჩვენების იმპიჩმენტის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, ქონებაზე ყადაღის დადების, სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების, ჩხრეკა-ამოღების და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელებისათვის.

5.4მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების, შემოწმება და შეფასება

საყოველთოდ ცნობილი ფაქტია, რომ მტკიცებულება, განსაკუთრებით მოწმის ჩვენება, შესაძლოა გახდეს მრავალი შეცდომის წყარო. ეს შეიძლება მოხდეს ფაქტებზე დაკვირვებისას ან შემდგომში სამართალწარმოების დროს. ფაქტები შეიძლება დამახინჯდეს მათი დამახსოვრებისას ან არასწორად იქნეს განმარტებული მათი გახსენების მომენტში. გარდა ამისა, ჩანაწერი შეიძლება არ იყოს ბოლომდე ზუსტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოწმის დაკითხვის წესის იმდაგვარად განსაზღვრა, რომ მხარეებს მიეცეთ მისი თანასწორ პირობებში დაკითხვის შესაძლებლობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ მოწმე სრულად გადმოსცეს ის ფაქტები, რაც მან ნახა. სწორედ, მოწმის დაკითხვის წესს განსაზღვრავს აღნიშნული ფორმა.

მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვევობის და უტყუარობის თვალსაზრისით.

მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება,რომ ფსიქიკური ავადმყოფოფბის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

თუ მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს კანონით დადგენილი წესით. მოწმის ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: ბრალდებულის პიროვნება: მეხსიერების მდგომარეობა, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ასაკი, ჯანმრთელობა, გარკვეული სახის გამოცდილება, ტემპერამენტი, ნანახის გაზვიადების ან დაკნინებისკენ მიდრეკილება და ა.შ. ბუნებრივი გარემო პირობები, რომელშიც მოხდა მოვლენის აღქმა: დრო, ადგილმდებარეობა, ამინდი, განათება, მხედველობის არეალი, სმენადობა, ობიექტამდე მანძილი და ა.შ. დროის ხანგრძლივობა ინფორმაციის მოწმისათვის ხელმისაწვდომობის მომენტიდან ჩვენების მიცემამდე ჩვენების მიცემის ვითარება; თავად მოწმის მდგომარეობა მოვლენის/ფაქტის აღქმის მომენტში (შიში, როგორც წესი, ხელს უწყობს გარემოებების გაზვიადებულად აღქმას); ვითარება რომელშიც მოწმეებს უხდებოდათ ქმედებასა და ბრალდებულთან დაკავშირებული გარემოებების აღქმა- მშვიდ და ჩვეულ ვითარებაში თუ ექსტრემალურ პირობებში (ბუნებრივი კატაკლიზმები, ავიაკატასტროფა, ბანკის დაყაჩაღების თვითმხილველი მოწმე და ა.შ.).

მოწმეთა ჩვენების კატეგორიულად შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დეტალური სიზუსტით აღწერენ მოვლენებს, შეესაბამება სხვა მტკიცებულებით დადგენილ გარემოებებს და ისეთ სპეციფიკურ დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც მხოლოდ ამ საქმისთვისაა დამახასიათებელი, ინდივიდუალურია და მხოლოდ რეალურ მოწმეს შეიძლება სცოდნოდა, მის ჩვენებაში არ შეიმჩნევა ყოყმანი და ვარაუდები.

თუ მოწმის ჩვენება ფაქტებთან მიმართებით სავარაუდოა, ასეთი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება საფრთხილოა, ვინაიდან სავარაუდო მტკიცებულებები ვერ ქმნის დამაჯერებლობის მაღალ ხარისხს.

მოწმის ჩვენების დასაშვებობისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე სავალდებულო პირობას: ჩვენება უნდა ეხებოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს; ჩვენება უნდა იყოს დაფიქსირებული სსსკ დადგენილი წესით და უნდა აისახოს სასამართლო

სხდომის ოქმში; მოწმემ უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო; გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემის მოწმის სუბიექტური უნარები; მხარემ უნდა გადასცეს მოწმის გამოკითხვის ოქმის სსსკ 83-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. მოწმის ჩვენების საგანი, როგორც წესი, უნდა იყოს მის მიერ უშუალოდ ან შუალედური რგოლის მეშვეობით აღქმული გარემოება (როგორც ნანახი/გაგონილი/წაკითხული, დაგემოვნებული,გამოკვლეული და ა.შ.), რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში ან ექნება მომავალში.

სსსკ მოწმის ჩვენებას მის მიერ გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს უკავშირებს. ამიტომ, მოწმის ჩვენება გულისხმობს ინფორმაციას გარკვეული ობიექტური გარემოებების შესახებ და არა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებზე მოწმის სუბიექტურ შეხედულებებს, შეფასებასა და დასკვნებს, ეჭვს, მოსაზრებას, ვარაუდს, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ეს ინფორმაციაც მნიშვნელოვანია, თუ ემყარება ობიექტურ საფუძველს.

მოწმის ჩვენების ანალიზის დროს შეიძლება მისი პიროვნული თვისებების იგნორირება. ნებისმიერი მოწმე უნიკალური პიროვნებაა და ეს ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი ჩვენების ფორმასა და შინაარსზე. ყოველი ადამიანი კი თავისებურ, რთულ ურთიერთობას ამყარებს გარეშე სამყაროსთან და სხვა ადამიანებს, სხვადასხვა სიტუაციებს შეუძლიათ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ იმაში, რას აღიქვამს, გაიაზრებს და იტყვის კონკრეტული პიროვნება. [29] მოწმის შეფასებითი ინფორმაცია მტკიცებულებით ხასიათს, როგორც წესი, მოკლებულია, ვინაიდან არ იძლევა ხელშესახებ ფაქტობრივ მონაცემებს და მასში მოყვანილი ფაქტები მის მიერ შესაძლებელია, განსხვავებულად აღიქვას. კერძოდ:

ა) ჩვეულებრივ მოწმე - (არა ექსპერტი ან საქმის განხილვაში მონაწილე გამოძიების ორგანოს წარმომადგენელი) პირობითად შიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ე.წ. გაცნობიერებული მოწმე და მარტივი მოწმე. ე.წ. გაცნობიერებულ მოწმეს ჩვეულებრივ მოქალაქისგან განსხვავებით გააჩნია სპეციალური უნარები, რაც მას შესაძლებლობას აძლევს მომხდარზე დაკვირვებას/ანალიზისას სწორად აღიქვამს იგი და ყურადღება მიაქციოს იმ დეტალებს, რაც შესაძლებელია გამორჩეს ჩვეულებრივ პირს.

მისი განსხვავება ექსპერტებისგან იმაშია, რომ 1. ჩვენებას იძლევა საქმის იმ გარემოებების შესახებ, რომელსაც უშუალოდ აძლევდა თვალს/რისი მოწმეც თავად იყო შემთხვევით ან საკუთარი ინიციატივით, მაგრამ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის მიღმა და არა მხარის ან სასამართლოს დავალებით; 2. ის არ

[29] ერნ თრენკელი, მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია, თბ., 2003, გვ. 80.

ატარებს რამიე სახის სპეციალურ კვლევას/ექსპერტიზას; 3. არ შეუძლია განმარტების მიცემა საკითხებზე, რომლებიც სცილდება მის მიერ განსახილველი საქმის ფარგლებს მიღმა აღქმულ გარემოებეს; 4. ჩვენების საგანი არ შეიძლება იყოს სსსკ ე.წ. პრივილეგირებულ კატეგორიას (აღსარების საიდუმლოება, საადვოკატო მომსახურების, საბანკო საიდუმლოება და ა.შ.) მიკუთვნებული ინფორმაცია.

ბ) მოწმე, როგორც წესი, ნაკლებად დაინტერესებული პირია და მისი ჩვენებები მეტი სარწმუნოობით ხასიათდება. თუმცა, ჩვენების სარწმუნოობაზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ობიექტურმა და სუბიექტურმა გარემოებებმა;

გ) ფაქტების სწორად აღქმის, დამახსოვრების და გადმოცემის ინდივიდუალური უნარი;

დ) მოწმის მიკერძოება და ინფორმაციის შეგნებულად დამახინჯება ან/და ყალბი ჩვენების მიცემა. თუმცა, დამახინჯება შესაძლებელია, გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებითაც (მაგალითად, მოწმის მხედველობის/სმენის უნარი, ღამის დრო, ცუდი განათება, დანაშაულის ხანდაზმულობა, დანაშაულის ჩადენა ხალხმრავალ და ხმაურიან ადგილას და სხვ);

ე) ჩვენებების შინაარსისათვის დამახასიათებელ საერთო სპეციფიკას წარმოადგენს ადამიანის გონებაში რეალური სინამდვილის ფაქტობრივი გარემობებას ასახავა. ადამიანის ფსიქიკა სინამდვილს არ ასახავს სარკისებური ეფექტით. გონებაში ასახული ინფორმცია გარკვეულ ცვლილებას განიცდის და გარკვეულ წილად იცვლება მისი არქმისას, დამახსოვრებისას და გადმოცემისას.

ადამიანი მოვლენას იმახსოვრებას გარკვეული გამოსახულების სახით, მაგრამ პირს, რომელმაც აღიქვა ეს გარემოება, მისი სხვა პირისათვის გადაცემა შეუძლია მხოლოდ სიტყვიერად ან გამოხატვის ნებმისმიერი სხვა სახლით (მაგალითად, ნახატის სახით), რა დროსაც გადმოცემის სიზუსტე დამოკიდებულია მახსოვრობის ხარისხზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, განათლებასა და სიტყვიერ მარაგზე, ღირებულებებზე, პროფესიასა და პროფესიულ მომზადებაზე, საქმიანობის სფეროზე და ა.შ. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენების დეტალიზაციას, მის დაზუსტებას და არაერთგზის გადამოწმებას როგორც კითხვების დასმის, ასევე საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში კრიტიკული შეფასებით.

ვ) მოწმის ჩვენების ფორმირების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოწმე ერთნაირი სიზუსტით და სისრულით არ აღიქვამს დანახულს/გაგებულს. ცალკეულ შემთხვევებში მოწმე ახდენს ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების და არა საქმის ყველა გარემოების აღქმას. მან შეიძლება ყურადღება მიაქციოს რაიმე მნიშვნელოვან

გარემოებას, რაც დაინახა ან მოისმინა. მოწმის ყურადრება შეიძლება მიიქციოს არაორდინალურმა ქმედებამ, რომელმაც მოწმეზე დიდი შთააბეჭდილება იქიონიოს, რისი დამახსოვრებაც, როგორც წესი, უფრო მეტი სიზუსტით ხორციელდება რუტუნილ ქმედებებთან შედარებით, რომლის ცალკეული დეტალები შესაძლებელია მოწმის ყურადღების მიღმა დარჩეს.

შესაბამისად, ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა მოწმის მიერ შიძლება განსხვავებულად იქნეს აღქმული (იქიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული მოვლენის რომელი სეგმენტი იყო მისთვის საინტერესო) და ერთი და იმავე ფაქტის შესახებ ერთსა და იმავე ადგილას მყოფმა მოწმეებმა შესაძლებელია განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია მიაწოდონ მხარეებს და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის ან ცრუ ჩვენების მიცემის განზრახვის გარეშე (მაგალითად, სადარბაზოში ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით თვითმხილველმა მოწმემ, რომელიც სადარბაზოს შესასვლელთან გადააწყდა ბრალდებულს, შესაძლებელია განსხვავებულად აღწეროს იგი იმ მოწმესთან შედარებით, რომელიც უშუალოდ თავდასხმის თვითმხილველია და დაზარალებულის თანმხლები პირი იყო);

ზ) ნებისმიერი მოწმის მიერ ობიექტურად არსებული ვითარების აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება და მისი სიზუსტე განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით. მოწმეს ობიექტურად უნდა გააჩნდეს ვითარების სწორად აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ასაკი, პროფესია, განათლების დონე, განწყობა, ორგანოთა გამართული ფუნქციონირება და სხვა. ადამიანის უნარები შეუზღუდავი არ არის. ორგანოთა გამართული ფუნქციონირების შემთხვევაშიც კი ადამიანი ორგანითა გამართული ფუნქციონირების შემთხვევაშიც კი. ადამიანი ობიექტურად მოკლებულია ცალკეულ გარემოების აღქმის შესაძლებლობას - მაგალითად, სიბნელეში ფერთა სწორად აღქმა, სმენით დისტანციისა და ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრა, მოსმენილის საფუძველზე პირის ფიზიკური აღნაგობის განსაზღვრა და ა.შ.

თ) ვინაირად ჩვენება უკავშირდება, როგორც წესი, წარსულში მომხდარ მოვლენას (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოწმის დაკითხვა ხდება მისი სამომავლო გეგმების შესახებ, რისი დაგეგმვაც განხორციელდა წარსულში, მაგრამ რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მომავალში), ამიტომ, ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: 1. დროის ხანგრძლივობა - ინფორმაციის სიზუსტე პირდაპირპროპორციულად მცირდება დროის ხნაგრძლივობასთან ერთად; 2. აღქმის სპეციფიკა - ცალკეული კატეგორიის პირებს ახასიათებს მოვლენების დამახინჯებულად აღქმა, რაც უკავშირდება ობიექტურად

არსებულ მათ სუბიექტურ მახასიათებლებს, მაგალითად ასაკი, დაკვირვების უნარი, გონება გაფანტულობა, განერვიულებული მდგომარეობა,სიმთვრალე,გადაღლილობა,ძილბურანში ყოფნა და ა.შ. როგორც წესი, მოწმე ახდენს იმ გარემოების მეტნაკლებად ზუსტად დამახსოვრებას, რომელმაც მას მძიმე ფსიქოლოგიური და სულიერი ტრავმა მიაყენა, რამაც შეძრა იგი და რასაც მისი სურვილის მიუხედავად ვერ ივიწყებს ან პირიქით, განცდილი სტრესის გამო შესაძლებელია საერთოდ წაიშალოს მის მეხსიერებიდან ცალკეული ეპიზოდები / მოვლენების/პერიოდები, რაც წარმოადგენს დამცავ რეაქციას.

ი) ფიზიკური ნაკლი გულისხმობს სმენის, მხედველობის, მეხსიერების, მეტყველების შეგრძნების/ აღქმის, გმრძნობელობის ორგანოების ფუნქციონირების ისეთი სახის დროებით ან მუდმივ მოშლას, რაც გავლენას ახდენს პირის უნარზე სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოცეს ფაქტები, თავისთავად ფიზიკური ნაკლის არსებობა არ წარმოადგენს მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველს და არ გამორიცხავს ყრუ-მუნჯის, უსინათლოს, ხეიბრის, კოჭლის და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონდე პირის ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას.

გადამწყვეტია აღნიშნული ნაკლის ინტენსივობა და მის მნიშვნელობა ინფორმაციის სწორად აღქმა/ გამოცემის ან დამახსოვრებისთვის. მაგალითად, დასაშვებია (თუმცა ნაკლები მტკიცებულებებით ძალის მატარებელია) უსინათლო ადამიანის ჩვენება მის მიერ გაგონილის შესახებ, თუ მას შეუძლია ხმით ამოიცნოს მოსაუბრე, ყრუ-მუნჯის (ასევე, ყრუ/მუნჯი პირის) ჩვენება რომელსაც მის მიერ ნანახის შესახებ ინფორმაციის მოწოდება შეუძლია შესაბამისი თარჯიმნის დახმარებით და ა.შ.

ჯანმრთელი ადამიანის მიერ მიწოდებული ჩვენება დაუშვებელი იქნება, თუ მისი მხედველობის მდგომარეობა არ იძლევა იმ მანძილზე მოვლენების ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობას, რა მანძილზეც, მისივე განმარტებით, მან შეძლო ბრალდებულის იდენტიფიცირება და მის მიერ დანაშაულის ჩადენის მსვლელობის დანახვა. ანალოგიურად, დაუშვებელი იქნება სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელი მოწმის ჩვენება, რომელმაც ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გაომდინარე ვერ შეძლო სწორად აღექვა ან/ და დაემახსოვრებინა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება.

კანონით გათალისწინებულ ფიზიკურ ნაკლსა და ფიზიკურ ავადმყოფობაში იგულისხმება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს განსაზღვრული ხარისხით აქვს დაქვეითებლი ფაქტების სწორად აღქმის დამახსოვრების და აღდგენის უნარი.

კანონმდებელი კუმულაციურად მიუთითებს სამივე უნარის დაქვითებაზე. შესაბამისად, ჩვენება მტკიცებულებს სტატუსს მოკლებული იქნება თუ პირს მოვლენათა ერთდროულად აღქმის. დამახსოვრების და გადმოცემის უნარის აქვს დაქვეითებული.

ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დარღვეული იყოს მოვლენის სწორად აღქმის უნარი (მაგალითად, დაზარალებულს იმდენად შეეშინდა, რომ ყაჩაღური თავდასხმისას სათამაშო იარღი ცეცხლსასროლ იარაღად მიიჩნია), მაგრამ შენარჩუნებული იყოს გადმოცემის და დამახსოვრების უნარები.

უნარის დაქვეითება დადგენილი უნდა იყოს. მხოლოდ ეჭვის არსებობა მოწმის აღნიშნულ უნართან დაკავშირებით საკმარისი არ არის მისი ჩვენების გაქარწყლების და მტკიცებულებად არაღიარებისთვის.

მოწმეს შესაძლებელია უჭირდეს გადმოცემა რიგი მიზეზების გამო: ვერ იგებდეს კითხვას გონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ან ენობრივი ბარიერის გამო; არ ახსოვდეს აღნიშნული გარემოება / დეტალი.

მოწმეს შესაძლებელია წარსულში აღენიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა, თუმცა აღნიშნული უპირობოდ არ უნდა გამორიცხავდეს მოწმის სახით მისი წაკითხვის შესაძლებლობას. გათვალისწინებული უნდა იყოს დაავადების სპეციფიკა, მკურნალობის შედეგები, დაავდების პროგრესირება. მოწმის სახით პირის დაკითხვა არ უნდა განხორციელდეს თუ, მოწმეს არ შეუძლია გაიხსენოს ის მოვლენები/ფაქტები, რის შესახებაც მას ეკითხებიან, არ ესმის რას ნიშნავს მოწმის მოვალეობა და სიმართლის თქმის ვალდებულება არ გააჩნია კომუნიკაციის უნარი.

ფსიქიკური ან/ და ფიზიკური ნაკლის არსებობა, რომელიც მოწმეს ხელს უშლის სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, უნდა დასტურდებოდეს ოფიციალური დოკუმენტით. მაგრამ სსსკ არ აზუსტებს დოკუმენტის სახეს (ვის მიერ გაცემული, როგორი ფორმით, რამდენი ხნით ადრე და ა.შ.). ამიტომ, სსსკ მე -2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უნდა მოხდეს სსსკ 105-ე და 180-ე მუხლების ანალოგიით გამოყენება. „აღნიშნული ნომრების შინაარსიანად გამომდინარეობს, რომ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად კანონმდებლი ყველა შემთხვევაში ითხოვს სახელწმიფო (დაარა ასევე კერძო) სამედიცინო დაწესებულების დასკვნას. ამიტომ, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საერთო ანალიზიდან და იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში ჩვენების მიცემისას ბრალდებულსაც მოწმის სტატუსი გააჩნია, მოწმის შეურაცხობის(ფსიქიკური მდგომარეობის) საკითხი უნდა დადგინდეს სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.“

სსსკ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი ყურადრებას ამახვილებს მოწმის ჩვენებაში არსებითი წინააღმდეგობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მოწმის ჩვენება შედგება როგორც თავისუფალი თხრობის ასევე კითხვა-პასუხის რეჟიმში გაცემული ინფორმაციისაგან. ამიტომ, წინააღმდეგობრივი შეიძლება იყოს როგორც თავისუფალი თხრობის/პირდაპირი

დაკითხვის ნაწილი (მაგალითად, ჩვენების დასაწყისში მოწმე მიუთითებდეს, რომ ბრალდებულს შეხვდა 15.30 სთ-ზე და დაახლოებით 1 საათი ესაუბრა, ხოლო დასკვნით ნაწილში შეჯამებისას აღნიშნავდეს, რომ ბრალდებულს შეხვდა 13.30 სთ-ზე რაც ზუსტად ახსოვს ვინაიდან 14.00სთ-ზე მას ჰქონდა გასაუბრება).

ასევე, შესაძლებელია, ჯვარედინი დაკითხვის დროს მოწმის ნათქვამი ეწინააღმდეგებოდეს თავისუფალი თხრობას/პირდაპირი დაკითხვისას გადმოცემულ ინფორმაციას და ა.შ. წინააღმდეგობრივი შესაძლებელია იყოს ინფორმაცია, რომელიც ეხება: 1. ძირითად ფაქტს (მაგალითად: ბრალდებულის ბრალეულობას, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას); 2. კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობის არ მქონე დეტალს/საქმის ცალკეულ გარემოებას. მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომელშიც ერთგან მიუთითებს, რომ ბრალდებულს ჰქონდა 3 ერთეული ნაგანის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო იმავე ჩვენების სხვა ნაწილში მიუთითებს, რომ ბრალდებულ ჰქონდა 2 ცალი TT-ს ცეცხლსასროლი იარაღი.

ჩვენების წინააღმდეგობრივი ფაქტის არსებობისას უნდა გაირკვს მიზეზი - აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, დავიწყების/ნერვიულობის ბრალია თუ მიზანმიმართული წინასწარ განზრახული სიცრუეა.

მოწმის ჩვენებაში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას ჩვენების დაუშვებლად ცნობა მხარის პრეროგატივაა. შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის არსებობისას ჩვენება ინარცუნებს მტკიცებულების სტატუსს და სასამართლოს შეუძლია განაჩენის დასაბუთებისას გამოიყენოს ჩვენების ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებატა ერთობლიობას,

მოწმის მიერ ჩვენების მიცემა იმავდროულად დამოკიდებულია პროცესის წარმოებელი სუბიექტის და მხარის გადაწყვეტილებაზე. მოწმის მოწვევა და დაკითხვა მხარის უფლებაა და არა მოვალეობა.

მოწმე ჩვენებას იძლევა სხვა პირის მიმართ წარმოებულ საქმესთან მიმართებით. მაგრამ, როგორც კი ისმის საკიტხი ტავად მოწმის მხილების შესახებ, მას ენიჭება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის კონსტიტუციური გარანტია. მტკიცებულებებით მნიშვნელობა არ ენიჭება ასევე მოწმის ჩვენების იმ ნაწილს, რომელიც ეხება იმას, თუ რითი იყო დაკავშირებული მოწმე დანაშაულის ჩადენის მომენტშ თუ მისტვის არაფერია ცნობილი დანაშაუ;ლის შესახებ.

მოწმის ხარისხიანი ჩვენების მიღება წინაპირობაა მისი კონკრეტიზაცია დაკითხვის დროს. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ჩვენებას რომელშიც მითითებული არ არის

დაკითხვის საგნის შემადგენელი გარემოების თუნდაც დაახლოებითი დრო, ადგილი, ვიტარება არ ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

მოწმის ჩვენების რეალობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ დასაკითხი პირი როგორ განწყობაზე იმყოფებოდა მომხდარ ფაქტებსა და აღქმის პროცესში და როგორი იყო მისი დამოკიდებულება ამ ფაქტსა და გარემოებასთან მიმართებაში და კონკრეტულ სიტუაციაში რაზე იყო გადატანილი მისი ყურადღება.[30] მოწმის ჩვენების სისწორის ხარისხზე გარკვეულ გავლენას ახდენს მოწმის ინდივიდუალური თვისებები, და, რომ მოწმის ჩვენებაში რეალური სინამდვილის 100 %-ით ასახვა დიდ იშვიათობას წარმოადგენს, რაც უდავოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს მოწმეთა ჩვენების შეფასების დროს.

განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს ე.წ. ალიბის მოწმეების და არასრულწლოვანი პირების ჩვენების შეფასება (არასრულწლოვანს შეიძლება არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს მის მიერ გადმოცემულ ფაქტების შესახებ).

5.4 მოწმის დაკითხვის წესის ხარვეზები სისხლის სამართლის პროცესში

ჩემს მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი თემასთან დაკავშირებული საკითხები, გავეცანი ნორმატიულ მასალას, იურიდიულ ლიტერატურასა და კვლევებს. მივედი იმ დასკვნამდე, რომ მოწმის საკითხთან დაკავშირებული ბევრი საკითხი პრობლემურია, რაც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს რამოდენიმე მიმართულებით;

1. სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხული იქნას მხარეთ მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. შესაბამისად, გამოსაკითხი პირი მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა იქნეს გამოკითხული და თანხმობის შემთხვევაში ვალდებულია გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. თუ ნებაყოფლობის პრინციპს ვაღიარებთ, მაშინ გამოსაკითხ პირს არანაირი ფორმით არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. პირის მიერ ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის პრინციპი და მას აღნიშნული უარის გამო არანაირი ფორმით პასუხისმგებლობა არ ეკისრება. საქართველოს სსსკ ნათლად არ ადგენს, თუ როდის უნდა მოხდეს გამოსაკითხი პირის გაფრთხილება შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ -

[30] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტომი II, (დანაშაულის გახსნის ტაქტიკა), თბ., 2007, გვ. 230-231.

ნებაყოფლობითი გამოკითხვის უფლების განმარტებამდე თუ მას შემდეგ, რაც გამოსაკითხი პირი დათანხმდება შეთავაზებას მხარისათვის ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდების თაობაზე. საქართველოს სსსკ ითვალისწინებს გამოსაკითხი პირის უფლებას, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, თუმცა, საქართველოს სსსკ არ ადგენს წესს, თუ რა ფუნქცია, როლი და უფლებები ენიჭება ადვოკატს გამოკითხვის მიმდინარეობის პროცესში. ასევე ბუნდოვანია, გამოკითხვა ნებაყოფლობითია თუ ვალდებულება და რა სტატუსით სარგებლობს გამოსაკითხი პირი, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მისი სტატუსი და უფლება მოვალეობები. ზოგადად განსაზღვრულია, თანხმობის შემთხვევაში თქვას სიმართლე და უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით იყოლიოს ადვოკატი;

კანონი პირდაპირ უგულვებელყოფს მოწმეებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის და მათი დათანხმების აუცილებლობას. ახალი კანონით, გამოკითხვის ნებაყოფლობითობა შეეხება მხოლოდ დაცვის მხარეს, რადგან დაკითხვის სავალდებულო ბუნება შენარჩუნებულია ბრლდების მხარისთვის, რადგან მოწმის ნებაყოფლობით გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მათ მარტივი წესით შეუძლიათ იძულებითი მექანიზმის გამოყენება.

2. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას. აღნიშნული კი სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპებია, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით სამართლწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში. და რომელიმე მხარე არ უნდა იქნეს ჩაყენებული პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

მოქმედმა საპროცესო კანონმა შემოიტანა გამოძიების ეტაპზე დაკითხვის სრულიად განსხვავებული წესი. შემოტანილია პირის გამოკითხვის ცნება, რაც გულისხმობს, პირის მიერ მისი სურვილის შემთხვევაში მისთვის ცნობილი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას მხარეებისათვის. აქაც დარღვეულია ნებაყოფლობის პრინციპი და წინააღმდეგობასთნ გვაქვს საქმე, კერძოდ: კანონი მიუთითებს, რომ დუშვებელია პირის იძულება გასცეს ინფორმაცია, მაგრამ ბრალდების მხარეს რჩება ბერკეტი, გამოძიების ეტაპზე სავალდებულო წესით მიიღოს ჩვენება „მოწმისაგან“, ისე რომ ამ პროცესში არ მონაწილეობდეს დაცვის მხარე. ამასთან, ამის შესაძლებლობას აბსოლუტურად მოკლებულია დაცვის მხარე.

პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია დაცვის მხარის უფლება, მონაწილეობდეს მოწმის დაკითხვის პროცესში. თუ ვიგულისხმებთ, რომ მოწმის სტატუსს

პირი იძენენს სასამართლოში ფიცის დადების შემდეგ, მაშინ რა სტატუსითაა გამოსაკითხი პირი? როგორც მომავალი პოტენციური მოწმე? ბრალდების მხარეს უფლება აქვთ (და ამ უფლებით ხშირად სარგებლობს) სიაში შეყვანილი დასაკითხი პირიც მოხსნას, თუ გამოკითხული პირი არ იძლევა მათთვის სასურველ ჩვენებას;

სამართლიანი სასამართლოს უფლება სამართლწარმოების ყველა ეტაპზე თანაბარი შესაძლებლობების არსებობაში გამოიხატება. ევროპულ სასამართლოს ცალსახად აქვს ნათქვამი, რომ დაცვისა და ბრალდების მოწმეების დაკითხვა უნდა წარიმართოს ერთნაირ პირობებში. ამ კუთხით კონვენციის ტექსტი შეიცავს სპეციალურ ჩანაწერს მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებით. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩდენა, აქვს უფლება დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დაკითხოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.“

3. მოწმის დაკითხვის წესის ანალიზისას, ვნახე რომ პრობლემურია არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხი. გამომძიებელთან, პროკურორთნ გამოკითხული და მაგისტრ მოსამართლესთან დაკითხული მოწმე შეზღუდულია მიცემული ჩვენებით, რომლის შეცვლაც მთავარ სხდომაზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს ცრუ დასმენისათვის (საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხ.) და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის (საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხ.). ასევე, მოწმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (სსკ, მუხლი 371) მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვავაში რის გამოც ბრალდების მოწმე იძულებულია სასამართლოში არც მეტი, არც ნაკლები გაიმეოროს ის სასურველი ჩვენება, რაც მან გამოკითხვისას მისცა ბრალდების მხარეს.

4. გვაქვს კანონის არსებითი დარღვევით მოწმის დაკითხვის შემთხვევებში მტკიცების სირთულე. კანონის არსებითი დარღვევით მოწმის დაკითხვის შემთხვევების ჩამონათვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ახდენს. თუმცა, ნორმის განმარტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონის არსებით დარღვევას წარმოადგენს მოწმის დაკითხვა: არაუფლებამოსილი პირის მიერ, მოწმის უფლება-მოვალეობების განმარტების გარეშე, მოწმეზე ზეწოლით, მუქარით, იძულებით ან მოტყუებით, მოწმის დაკითხვის პროცედურის დარღვევით და სხვა.

აღნიშნულის მტკიცება საკმაოდ რთულია, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის დაკითხვის პროცესს; ჯერ ერთი, რომ ბრალდების მხარის

მიერ მოწმის დაკითხვაზე დაცვის მხარის მონაწილეობას კანონი არ ითვალისწინებს, ხოლო დაცვა საქმეში ერთვება პირის მიმართ დევნის (დაკავების) მომენტიდან, მანამდე კი ბრალდების მხარეს პრაქტიკულად ამოწურული აქვს საგამოძიებო მოქმედებები, (გამონაკლისია დანაშაულზე წასწრება), რომელიც შეიძლება წლები გრძელდებოდეს. შესაბამისად, ამ კუთხითაც არა გვაქვს დაწესებული შეზღუდვის დაბალანსება.

6. არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე მოწმის გარეშე. მართლია, ზოგჯერ დანაშაულის თვითმხილველები არა გვყავს, მაგრამ სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით გამოდიან ექსპერტები და გამომძიებლები. ექსპერტებთან მიმართებაში შეიძლება საპრეტენზიო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გვქონდეს, რადგან მოწმის სატატუსით მათი დაკითხვა სასამართლო პროცესზე ატარებს ფორმალურ ხასიათს და ფაქტიურად ადასტურებენ მათ მიერ ჩატარებულ კვლევას. ხოლო რაც შეეხება გამომძიებლების გამოკითხვას, აქ ცოტა კომიკური სიტუაციაა. გამომძიებლები/დეტექტივ-გამომძიებლები წრეზე იკითხებიან, ე.ი. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ერთმანეთს გამოკითხავენ და სასამართლო პროცესზე ერთმანეთს უდასტურებენ ამა თუ იმ მოქმედებას, ასევე მათ მიერ არ ხდება ინფორმაციის წყაროს მითითება.

7. ჩემი აზრით, მოწმის დაკითხვის პროცესში, მოსამართლე არ უნდა შემოიფარგლოს მოწმისადმი მხოლოდ უფლება-მოვალეობის განმარტებით. მას უნდა ჰქონდეს მოწმის მიმართ კითხვის დასმის უფლება ამა თუ იმ საკითხის გარკვევის ან დაზუსტების მიზნით და ამისთვის არ უნდა სჭირდებოდეს მხარეთ ერთობლივი თანხმობა.

8. მოწმის დაკითხვის ახალი წესი შეუთავსებელია უშუალობის პრინციპთან, რაც გულისხმობს ყველა მტკიცებულების არსებით გამოკვლევას, მათი სანდოობის შემოწმებას საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის წინაშე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ მოწმის პირველი დაკითხვა სწორედ იმ მოსამართლესთან მოხდეს, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. სხვა შემთხვევაში, მოწმე უკვე განპირობებულია მანამდე მიცემული ჩვენებით, რაც, ასევე, შეუსაბამობაში მოდის უშუალობის პრინციპთან და უარყოფით გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ხარისხზე.[31]

თავი VI. კვლევის შედეგები

[31]მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, კვლევის ავტორი თამარ ავალიანი, ადამინის უფლებათა ცენტრი, თბ., 2017, გვ. 11-12.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში „მოწმის სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართალწარმოებაში“ მიმოხილულია მოწმის ცნება, მისი სტატუსი და სახეები, მისი როლი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში, მოწმის უფლებები და მოვალეობები, დაცვის გარანტიები და პასუხისმგებლობა, მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიური ასპექტები, მოწმის დაკითხვის პროცესუალური და კრიმინალისტიკური თავისებურებები როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს.

თემაზე მუშაობისას დანახული იქნა ის ხარვეზები, რაც პრობლემურია და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებს - თანასწორობას, შეჯიბრებითობასა და უშუალობას.

ნაშრომზე მუშაობისას, ნორმატიული მასალებისა და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობით, ჩემი გადმოსახედიდან დადგენილ იქნა მთელი რიგი ხარვეზები, რომელიც პრობლემურია, საკამათოა და ვფიქრობ, აქტუალობას არ კარგავს. საერთო ანალიზიდან გამომდინარე, გამოთქმულია ჩემი მოსაზრებები ხარვეზად მიჩნეულ საკითხებთან დაკავშირებით.

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნა მოწმის, როგორც პროცესის მონაწილის, სტატუსი და მისი დაკითხვის სამართლებრივი ასპექტები როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს. კვლევისას გამოიკვეთა საკმაო ხარვეზები როგორც მოწმის სტატუსის, ასევე მათი მდგომარეობის და მხარეთ მიერ მათი გამოკითხვა/დაკითხვის საკითხებში.

ერთი მხრივ, სისხლის სამართალწარმოებაში ფუნდამენტურ პრინციპად აღიარებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის, შეჯიბრებითობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპი, მაგრამ ამ პრინციპების საწინააღმდეგოდ კანონმდებელი უშვებს პრივილეგიების მინიჭებას ბრალდების მხარისთვის.

მე როგორც სტუდენტს, მესმის რომ ბრალდების მხარისათვის პრივილეგიების მინიჭება ემსახურება დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის მხილების საკითხს და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ კანონში ეს საკითხი ისე უნდა დარეგულირდეს, რომ არ უნდა მოვდიოდეთ პრინციპებთან წინააღმდეგობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკითხი ყოველთვის საკამათო იქნება.

საჭიროა პრინციპებთან შესაბამისი ისეთი ბალანსის ძიება საერთშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაცვას და ამასთან, გამოძიების ეფექტიანობის გაზრდას, რათა ხელი არ შეეშალოს სამართლდამცავ ორგანოებს მტკიცებულებათა მოპოვებაში და დამნაშავეთა მხილებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ამინოვი ი., იურიდიული ფსიქოლოგია,ნ.ერიაშვილის რედაქციით, სამართლიანი საქართველო, თბ., 2008;

2. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., 2011;

3. ვილდესი ბას დე, ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბ., 2015;

4. დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, დისერტაცია, თბ., 2009;

5. გოგშელიძე რ., სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2008;

6. ირიბი ჩვენებები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, კრებულის რედაქტორი მარინა კვაჭაძე, თბ,. 2016;

7. იზორია ლ., საპოლიციო სამართლი, შსს აკადემია, თბ.,, 2015;

8. თრენკელი ე., მოწმის ფსიქოლოგია, თბ., 2003;

9. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათ საერთაშორისო სამართლი ადამიანის უფლებათ ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004;

10. ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2015;

11. ლომსაძე მ., სისხლის საპროცესო სამართლი, ბონა კაუზა, თბ.., 2015;

12. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., 2013;

13. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, (მეორე გამოცემა) მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., 2013;

14. მერაბიშვილი გ., ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 1998;

15. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თბ., 2007;

16. მონიავა პ., მამნიაშვილი მ., რევაზიშვილი ნ., და სხვ., საპროკურორო სამართლი, თბ., 2019;

17. ავალიანი თ., მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ., 2017;

18. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., ამერიკის იურისტთ ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატიავა, გ.გიორგაძის რედაქტორობით, გამომც. „მერიდინი“, თბ., 2015;
19. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლი, კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, ლ. ფაფიაშვილის რედაქტ., თბ., 2017;
20. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., 2015;
21. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, თბ., 2015;
22. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, (ზოგადი ნაწილი), მერიდიანი, თბ., 2013;
23. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ.II, (დანაშაულის გახსნის ტაქტიკა), მერიდიანი, თბ., 2007;
24. სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარ-ჩვევებში, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატიავა, A(ABA POLI), მერიდინი, თბ., 2012;
25. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
26. ხუციშვილი ე., ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბ., 2012;
27. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, გ. ხუბუას რედ., თბ., 2012;
28. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, მეორე გამოცემა, თბ., 1973.

სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №2/13/1234, 1235, ბათუმი, 2018 წლის 14 დეკემბერი;
2. საქართველოს მოქალაქე - ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, #1/1548, 2015 22 იანვარი;
3. კონსტიტუციური წარდგინება, #793, 2016 წლის 13 ივნისი, (გ. შავლიაშვილი, ნ. გვენეტაძე, პ. სილაგაძე);

საერთაშორისო აქტები

1. ადამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი;

2. „საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“, 1966 წლის 16 დეკემბერი;
3. „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტი;
4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთ უფლებების კონვენცია, 2014 წლის 12 აპრილი;
5. გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განსახორციელებელ ღონისძიებების შესახებ, 1997.

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
3. საქართველოს კანონი „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 1999;
4. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ 2013;
5. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, 2017;
6. საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, 2013;
7. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2006;
8. არასრულწლოვანთ მართლმსაჯულების კოდექსი, 2015.